ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

29 — 30 ოქტომბერი, 2011 №257 (5637) ფასი: 30 თეთრი

აქცია!
„ახალი თაობა“
+ ჩერჩილი
5 ლარი






## ირაკლი ბათიაშვილი: „ხელისუფლება ივანიშვილს მოქალაქეობას არ აღუდგენს“

გვ.2

სააკაშვილს სერიოზულად აღარავინ აღიქვამს

## სააკაშვილმა ჰააგის სასამართლო „გადააგდო“



გვ.3

ჰელსინკის კომიტეტის ექსპერტი გვიმხელს, რომ ომის საქმეზე დაკითხული 4 ათასი კაციდან ერთსაც ვერ მიაგნო

## მამუკა კაციტაძე: „ოპოზიციას მემარჯვენეების კრიტიკის უფლება არა აქვს!“



გვ.4

## პაატა ვარდანაშვილი: „ფერეიდნელების ქართველობას დრომ და სიშორემ ვერაფერი დააკლო“

ცნობილი ფოტორეპორტიორი საავტორო უფლებების დასაცავად სასამართლოში არ იჩივლებს



გვ.5

## ნუგზარ ყურაშვილი: „ტელევიზია და კინო თეატრს ვერ შეჭამს“

გვ.6



3090
sms განცხადებები
„ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

# ირაკლი ბათიაშვილი: „ხელისუფლება ივანიშვილს მოქალაქეობას არ აღუდგენს“

თამარ ნინიძე

**არის თუ არა ანომალია სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენა, რას ნიშნავს ხელისუფლების გადაბარება, როგორ უნდა გამოვიდეთ ავტორიტარული მმართველობის მოჯადოებული წრიდან ვარსკვლავბიჭუნებისა და ყოვლისშემძლე ბაბუების გარეშე. ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ სახალხო კრების ერთ–ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი ესაუბრა.**

***– როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას?***

– თავიდანვე მივესალმე მის გამოჩენას პოლიტიკურ ასპარეზზე. პოზიტიური დამოკიდებულება მაქვს, მივესალმები მის მძლავრ შემოსვლას ქართულ პოლიტიკურ არენაზე და დარწმუნებული ვარ, საქართველოს ყველა შეგნებული მოქალაქე უნდა მიესალმებოდეს ამ ფაქტს, ვინაიდან ამ მოვლენამ სერიოზული პერსპექტივა გახსნა ქვეყნისთვის. ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვიმყოფებოდით მძიმე პოლიტიკური სტაგნაციის მდგომარეობაში.

***– ივანიშვილმა მკვეთრი გამყოფი ხაზები გაავლო პოლიტიკურ სპექტრში. ერთის მხრივ, რესპუბლიკელები, ფორუმი და თავისუფალი დემოკრატები, მეორეს მხრივ, საპარლამენტო უმრავლესობა, ლეიბორისტები და ქართული პარტია, როგორია თქვენი აზრი ამ გამოხშირვაზე?***

– ეს არის მისი არჩევანი და გადაწყვეტილება. მე ამას ვერ შევაფასებ. მისი გადასაწყვეტია, რა გუნდს შექმნის, ვის შემოიკრებს გარშემო, ვინ იქნებიან მისი მოკავშირეები, ეს პირადად მისი გადასაწყვეტია. რამდენად სწორი და მიზანშეწონილი იქნება ასეთი არჩევანი, ამას დრო აჩვენებს. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, სამწუხაროდ, არსებობს ოპოზიცია და ფსევდოოპოზიცია, არ დავიწყებ ჩამოთვლას, მაგრამ არა მხოლოდ პოლიტიკოსები არიან, თქვენი სფეროს წარმომადგენლებიც, ჟურნალისტებიც, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. არსებობენ ადამიანები, რომლებიც კეთილსინდისიერად, პატიოსნად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, უფლებადამცველები. არიან ისეთები, ვინც ნიღაბს ატარებენ პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, უფლებადამცველების. ასეთი ფსევდოტიპები, სამწუხაროდ, მომრავლდნენ. ამ პროცესს თავიდანვე ხელი შეუწყო მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა, ამ ხელისუფლების სტრატეგიაში შედიოდა, შექმნა მართვადი პოლიტიკოსების ჯგუფები, რაც შეიძლება დიდი ზეგავლენა მოედინა ჟურნალისტებზე, განსაკუთრებით ელექტრონულ მედიაზე, პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი ან მისი გავლენის ქვეშ არის ან პირდაპირ მოსყიდულია.

***– 26 მაისის შემდეგ სახალხო კრების აქციები აღარ იმართება, ლიდერებიც აღარ აქტიურობენ. რით არის გამოწვეული ეს პასიურობა?***

– მე ვარ სახალხო კრებაში. ჩვენ არ ვართ პასიურ მდგომარეობაში. ყოველდღიური საქმე გვაქვს. ეს პერიოდი დაკავებული ვიყავით კონკრეტული საქმით, მაგალითად, პატიმრების მდგომარეობით. 300-მდე ადამიანი დაგვიპატიმრეს მოკლევადიანი დაკავებებით, სამი თვით, 50-მდე ადამიანი სისხლის სამართლის მუხლით არის დაპატიმრებული, ნაწილს სასჯელის ზომა მიესაჯათ, სხვების მიმართ მიმდინარეობს სასამართლო პროცესები. ისინი ჩვენი თანამებრძოლები არიან, უსამართლოდ ისჯებიან, რაც მათ მიმართ ხორციელდება, ეს სრული თვითნებობა და არანორმალური სისასტიკეა, უმძიმესი დარტყმის ქვეშ ვართ ამ რეპრესიების გამო, მორალური და მატერიალური ზარალის მიყენების თვალსაზრისით. ჩვენს ოფისს დღემდე არ ხსნიან.



**სააკაშვილს სერიოზულად აღარავინ აღიქვამს**

ახლა არ ვართ პოლიტიკური პროცესების ავანგარდში, მაგრამ არ გვაძლევენ ოფისს. ახლა არ არის აქციების დრო, მიტინგები ყოველთვის ადეკვატური არ არის. ვაკვირდებით პროცესებს, რომელიც ახლა მიდის.

***– შეიძლება საზოგადოებამ სახალხო კრება ბიძინა ივანიშვილის გვერდით იხილოს? ასეთ შემთხვევაში როგორი იქნება თანამშრომლობის ფორმები?***

– ვიმეორებ, მივესალმებით მის პოლიტიკაში ჩართვას, სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ, გამომდინარე მისი განცხადებებიდან და თეზისებიდან, რომელიც მისი მხრიდან გამოქვეყნდა. იქნება თუ არა თანამშრომლობა და რა ფორმის იქნება ის, ამას დრო გამოაჩენს.

***– მისი ციტატა მინდა მოვიყვანო ,,დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, გავაღრმავოთ აშშ-სა და ევროკავშირთან ინტეგრაცია”. ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, როგორ ფიქრობთ, საგარეო პოლიტიკა დაბალანსებული იქნება?***

– ეს არის რაციონალური თეზისი, მე ხშირად ვაქვეყნებდი ჩემს ანალიტიკურ სტატიებს სხვადასხვა გამოცემებში, ჩემს დაპატიმრებამდეც და შემდგომაც. საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის იმას ვუსვამდი ხაზს, რომ ერთის მხრივ უნდა გავაღრმავოთ დასავლეთთან ჩვენი სტრატეგიული ურთიერთობა, მეორეს მხრივ, დავიწყოთ^ ურთიერთობის დარეგულირება რუსეთთან. თუ საქართველოს ბედზე ვფიქრობთ და გვინდა მომავალში ყონული დავძრათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ, დაიწყოს დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან, თუ გვინდა რომ მუდმივად არ ვიყოთ არასტაბილური სახელმწიფო გარე საფრთხეების გამო, თუ გვინდა არ გვქონდეს დამოკლეს მახვილივით თავზე დაკიდებული ეს საგარეო საფრთხე, რათა პოლიტიკურად და ეკონომიკურად განვვითარდეთ, ამის მიღწევა სწორედ ასეთი პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი. ევროკავშირიც გვირჩევს რუსეთთან დავალაგოთ ურთიერთობები. დღეს ჩვენ რუსეთი ხელწამოსაკრავ ბურთულად განგვიხილავს. აშშ და ევროკავშირი არასერიოზულად გვიყურებენ. გული შესტკივათ დაჩაგრულ პატარა ქვეყანაზე, მაგრამ სააკაშვილიდან გამომდინარე სერიოზულად არ ვართ აღქმული. ქუჩაში ნებისმიერ ადამიანს რომ ჰკითხოთ რა შთაბეჭდილებას ტოვებს მასზე საქართველოს პრეზიდენტი, იტყვის, რომ ის არ არის ნორმალური. თქვენ გგონიათ ამას ვერ ამჩნევს ჯონ ბასი და ერიკ ფურნიე? შესანიშნავად ხედავენ. ჩვენს გასაკეთებელ საქმეს ჩვენს მაგივრად ვერავინ გააკეთებს.

***– კიდევ ერთ ციტატას მოვიყვან ,,ჩვენ გავაოცებთ ევროპას დემოკრატიის იმ ხარისხით, რომელსაც მე საქართველოში შევქმნი”. როგორა თქვენი კომენტარი ამაზე?***

– მე მივესალმები ასეთ სურვილებს. ყელში ამოგვივიდა ეს ავტორიტარიზმები, დაწყებული 90-იანი წლებიდან დღემდე. პოლიტიკური ნარკვევი გამოვეცი ,,შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ”, სადაც გაანალიზებულია 90-იანი წლები, როგორ ვერ გამოვედით ავტორიტარული მმართველობიდან. დღეს ამ მანკიერმა მოჯადოებულმა წრემ მიიღო მთლად კატასტროფული ხასიათი. ვერ შევქმენით დემოკრატიული ინსტიტუტები, მუდმივად ხან ბელადის, ხან ყოვლისშემძლე ბაბუს, ხან ვარსკვლავბიჭუნას მხრიდან ხსნის მოლოდინში ვიყავით. ჩვენი ბედი ვიღაც ,,მესიებზე“ კი არ არის დამოკიდებული. მესია არის ერთი, უფალი ძე ღვთისა, იესო ქრისტე. ქართველები კარგი გაგებით ინდივიდუალისტები ვართ, არა გვაქვს მონური ფსიქოლოგია, ამიტომ ნუ გვეჩვენება, რომ რაღაცა მიუღწეველია.

***– სააკაშვილმა 7 ნოებრიდან დაწყებული 26 მაისით დამთავრებული მოახერხა, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას დააშორა. სააკაშვილის ხისტი საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილო არა მარტო რუსეთი, არამედ ამერიკაც და ევროპის ქვეყნები არიან. ჰილარი კლინტონის მოადგილემ თბილისში ყოფნის დროს პირდაპირ განუცხადა ნაციონალებს ხელსიფლების დემოკრატიულად გადაბარების შესახებ. როგორ აფასებთ ამ რჩევას?***

– ეს ნიშნავს სწორედ ხელისუფლების დემოკრატიულად გადაცემას. როცა საუბარია პროცესებზე იემენში, სირიაში, ევროკავშირი და აშშ ხელისუფლების გადაცემაზე ამახვილებენ ყურადღებას. სირიის და იემენის მმართველების შემდგომი ყოფნა ხელისუფლებაში არის ანომალია. გაერომ იემენთან დაკავშირებით მიიღო რეზოლუცია, სალეჰი, იემენის პრეზიდენტი, ხელისუფლების გადაცემაზე თანახმაა და ითხოვს მხოლოდ გარანტიებს. რეზოლუციაში ამ გარანტიებზეც არის საუბარი. გადაცემაზე როცა საუბრობენ ამერიკელი თანამდებობის პირები, იმას კი არ გულისხმობენ, რომ სააკაშვილმა უგულავას ან ბაქრაძეს გადასცეს პრეზიდენტობა, მერე კი თვითონ პრემიერ–მინისტრად დადგეს, არამედ ისინი ამ ხელისუფლების დემონტაჟს გულისხმობენ, არჩევნების გზით.

***– როგორ განვითარდება დაპირისპირება სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის?***

– დაპირისპირება გაღრმავდება. აუცილებლად გამწვავდება ვითარება სააკაშვილის და მისი გუნდის მხრიდან, სადაც უხვად არიან პათოლოგიური ზნის ადამიანები, სერიოზული პროვოკაციები, აგრესიული ქმედებებია მოსალოდნელი. ივანიშვილი ყველანაირი დარტყმისთვის მზად უნდა იყოს. არჩევნებამდე დიდი დროა. სააკაშვილი არ იჩქარებს არჩევნების გაზაფხულზე გადმოტანას. სააკაშვილი და მისი გუნდი ახლა მსჯელობს, როგორ გამოუთხარონ ძირი ივანიშვილს, ნელ-ნელა როგორ მოახდინონ მისი დისკრედიტაცია. იმაზე კი არ ფიქრობენ, რა მოუხერხონ კატასტროფულ სოციალურ მდგომარეობას ქვეყანაში, როგორ დაიწყონ დიალოგი რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან. ბინძურ ტექნოლოგიებში, სამწუხაროდ, გაწაფული არიან.

***– კულუარებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება აპირებს არჩევნების გაზაფხულზე გადმოტანას, რათა ივანიშვილს ხელი შეუშალოს მომზადებაში, მოქალაქეობა არ უნდათ აღუდგინონ.***

– გინდა გაზაფხულზე დანიშნონ და გინდა შემოდგომაზე არჩევნები, ეჭვი მეპარება, რომ ივანიშვილს მოქალაქეობა აღუდგინონ. უსირცხვილოდ, თავხედურად წაართვეს მოქალაქეობა, საზოგადოებრივ აზრს არ მოერიდნენ. მთელი მათი სტრატეგია მიმართულია იმისკენ, რომ ივანიშვილი არჩევნებზე არ მიუშვან. მას იმის საშუალებასაც არ მისცემენ, რომ პარტია შექმნას. ბატონ ივანიშვილს, ალბათ, ამ საკითხზე ნაფიქრი აქვს.

***– სტარსბურგში რომ გადაიტანოს საქმე, იქნებ იქ მაინც იპოვოს სამართალი?***

– სტრასბურგში ხუთი წლის შემდეგ განიხილავენ მის საქმეს. ჩემი საქმეც 2007 წელს არის იქ შესული და ჯერ არ განუხილავთ. სულხან მოლაშვილის საქმე ჩემს საქმეზე ადრე მიიღეს, მაგრამ არ განუხილავთ. გამორიცხული არ არის დააჩქარონ ივანიშვილის საქმე, მაგრამ მთლად სტრასბურგის იმედად ყოფნაც არ იქნება სწორი.

## უზენაესმა სასამართლომ დავა მეწარმის სასარგებლოდ გადაწყვიტა

2011 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შპს ,,ვივა"-სა და შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონულ ცენტრს შორის დავა დაასრულა.

შპს „ვივას“ წარმომადგენელი სარჩელით ითხოვდა საგადასახადო სამსახურის შემოწმების აქტის, 86 225 ლარის დარიცხვის ნაწილში, ბათილად ცნობას; ამასთანავე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

შპს „ვივა“ სხვადასხვა ნედლეულის იმპორტით არის დაკავებული, იგი ასევე დიზელის საწვავსა და მაზუთს აწარმოებს. სადავო საკითხი, სწორედ გარემოს მავნე ნივთიერებებისგან დაბინძურების კანონით დაწესებულ გადასახადს შეეხებოდა.



საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ბათილად ცნო ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლითაც შპს „ვივას“ გადასახდელად დაერიცხა მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების გადასახადი 86 225 ლარის ოდენობით.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მართალია, მითითებული გადასახადის გადახდის ვალდებულება დეკლარირებული იყო თავად გადასახადის გადამხდელის მიერ, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ საწარმოს მიერ რეალიზებული მაზუთის გოგირდშემცველობა არ აღემატებოდა საგადასახადო კოდექსით დადგენილი დაბეგვრის დასაშვებ ნორმას, რისი გათვალისწინებითაც საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია გარემოს დაბინძურების გადასახადის ხელახალი დაანგარიშება და არასწორად დარიცხული თანხების გაუქმება.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები** ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 2-84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილმა ჰააგის სასამართლო „გადააგდო“

## ჰელსინკის კომიტეტის ექსპერტი გვიმხელს, რომ ომის საქმეზე დაკითხული 4 ათასი კაციდან ერთსაც ვერ მიაგნო

შალვა ჯოხაძე

**მიხეილ სააკაშვილის ოპონენტებისაგან ხშირად გვსმენია, რომ საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი ჰააგის სასამართლოს მიერ გასამართლებას იმსახურებს. ამას 2008 წლის რუსულ-ქართული საომარი მოქმედებების კონტექსტში აცხადებენ და დასძენენ, რომ რუსეთის პირველკაცებთან ერთად, ომის დანაშაული სააკაშვილმაც ჩაიდინა. ცნობილია, რომ ჰააგაში განთავსებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო სწორედ ასეთ საქმეებს იხილავს.**



სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დამფუძნებელი „რომის წესდების“ რატიფიცირებით, სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, რომ ამ წესდებაში მოცემული ისეთი დანაშაულები გამოიძიოს, როგორიცაა გენოციდი, ომის დანაშაული, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული და დამნაშავეები პასუხისგებაში მისცეს.

ცნობისათვის, ჩვენი ქვეყანა ამ დოკუმენტს მიერთებულია და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისმა უკვე განაცხადა, რომ ოთხ კონტინენტზე მდებარე ათი ქვეყნის შემთხვევებს შეისწავლის. ეს ათი ქვეყანაა: ავღანეთი, ჩადი, კოლუმბია, კოტდივუარი, საქართველო, გვინეა, ჰონდურასი, ნიგერია, კორეის რესპუბლიკა და პალესტინა. დღეის მდგომარეობით, გამოქვეყნებულია წინასწარი მოკვლევის დასკვნები ერაყსა და ვენესუელაში მომხდარი სავარაუდო დანაშაულების შესახებ, რის საფუძველზეც სასამართლოს პროკურორის ოფისმა ამ საქმეთა შემდგომ წარმოებაზე უარი განაცხადა. ამის მოტივი ასეთი იყო: ისინი გამოძიების დასაწყებად საჭირო მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდნენ, ხოლო კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, უგანდას, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკისა და სუდანის საქმეებზე წინასწარი მოკვლევის შემდეგ სრულფასოვანი გამოძიება მიმდინარეობს. წესდების თანახმად, თუკი სახელმწიფო საკუთარ ქვეყანაში გამოძიების ჩატარების ვალდებულების შესრულებას ვერ შეძლებს, მაშინ ჰააგის სასამართლოს უფლება აქვს, გამოძიება თავად დაიწყოს. რა სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში? ოფიციალურ დონეზე, გამოძიება დაწყებულია. მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ ოთხი ათასი ადამიანი ჰყავთ დაკითხული, მაგრამ რეალურია თუ არა ეს ინფორმაცია, ამის დამადასტურებელი მასალები არ არის ხელმისაწვდომი. ერთიც უნდა აღინიშნოს – ჩვენს ხელისუფლებას კანონი არ ავალდებულებს, რომ ეს გამოძიება რაიმე კონკრეტულ ვადაში დაასრულოს. ამიტომაცაა, რომ გამოძიება წლებია, იწელება. რადგანაც ამ გამოძიების შედეგად შეიძლება, უმაღლესი თანამდებობის პირების ბრალეულობა გამოკვეთოს, ცხადია, „თავის შვილს არ მოსჭრიან კუდს“ და დროის გაწელვის ტაქტიკა მთავრობისთვის მართლაც სასარგებლოა. ისე, თუკი ჩვენი ხელისუფლება ჰააგის სასამართლოს ვერ დაუდასტურებს, რომ გამოძიება რეალურად მიმდინარეობს, მაშინ, შესაძლებელია, რომ სააკაშვილის მთავრობა იმით დასაჯონ, რომ პირდაპირ მათ დაიწყონ გამოძიება. ამ პროცესის დაჩქარების საქმეში საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისთან ხშირი კონტაქტი აქვს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტს, რომლის წარმომადგენელიც ამ დღეებში საქართველოში იმყოფებოდა და არკვევდა, რეალურად, იძიებს თუ არა რამეს საქართველოს მთავრობა.

„ახალი თაობა“ ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის წარმომადგენელს, მრჩეველს საერთაშორისო მართლმსაჯულების საკითხებში სიმონ პაპუაშვილს გაესაუბრა, რომელმაც თავდაპირველად მის მიერ საქართველოში ჩატარებული სამუშაოს შესახებ გვიამბო.

სიმონ პაპუაშვილი:

– ამ ეტაპზე, იმ სიტუაციას ვსწავლობთ, რომელიც საქართველოში გამოძიების მიმდინარეობას ეხება. იქიდან გამომდინარე, რომ გამოძიებას საქართველო აწარმოებს, პირველი, რაც ვცადეთ, მთავრობისგან ინფორმაციის მიღებაა. ამ მიზნით, არაერთხელ მივმართეთ ხელისუფლებას, წერილობით ვთხოვეთ, გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოედგინათ, ანუ რა სახის საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა, სად, როდის, როგორ და რა შედეგით დასრულდა ის. ვარკვევთ, აქვთ თუ არა განზრახვა, რომ ეს გამოძიება რაღაც ფორმით ან სრულად დამთავრდეს. სამწუხაროდ, ამ საკითხზე ინფორმაცია ვერ მივიღეთ. აქედან გამომდინარე, იძულებულები გავხდით, სხვა გზებით გადავამოწმოთ გამოძიების მიმდინარეობის რეალურობა.

ერთ-ერთი გზა ასეთია: ჩავრდივართ იმ სოფლებში, რომლებიც ომის შედეგად დაზარალდა, არიან გარდაცვლილები, განადგურებულია სახლები, არიან ყოფილი ტყვეები. ჩვენ ამ ადამიანებთან გასაუბრებას ვატარებთ. წინა კვირას ათამდე სოფელში ვიყავი.

ჩემი მიზანია, დავადგინო, ამ ადამიანებთან მიმართებაში საგამოძიებო მოქმედება არის თუ არა ჩატარებული. ძირითადად, საუბარია დაკითხვაზე. სამწუხაროდ, ჩემი მცდელობები დღემდე იმით დასრულდა, რომ ვერანაირი გამოძიების კვალს ვერ მივაგენი.

***– გინდათ თქვათ, რომ ამ ათ სოფელში ვერც ერთ უკვე დაკითხულ ადამიანს ვერ მიაგენით?***

– სამწუხაროდ, ვერა. თუმცა ახლახან შეხვედრა მქონდა იუსტიციის სამინისტროში, მათ შორის პროკურატურის წარმომადგენლებთან და ისინი ამბობენ, რომ 4 ათასამდე ადამიანია დაკითხული. მათი ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

***– ალბათობა იმისა, რომ ამ 4 ათასი ადამიანიდან ამ სოფლებში ერთი ან ორი მაინც აღმოჩენილიყო ხომ საკმაოდ დიდია?***

– გეთანხმებით, საკმაოდ დიდია. სწორედ ამიტომ გვინდა, რომ ხელისუფლებისაგან მივიღოთ რეალური ინფორმაცია, რათა ის ანგარიში, რომელსაც ჩვენ მოვამზადებთ, ცალსახა არ იყოს და მაქსიმალურად ობიექტური გამოვიდეს.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები, იგივე იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლები რით გისაბუთებენ იმას, რომ გამოძიებას ატარებენ. თქვენ მათ სიტყვაზე უნდა ენდოთ? იმ 4 ათასი კაცის დაკითხვის შესახებ როცა მოგახსენეს, შესაბამისი მასალები თუ გაჩვენეს?***

– არა, არ უჩვენებიათ. შეიძლება ვივარაუდოთ, ასე იმიტომ არ იქცევიან, რომ თუ კონკრეტულ მასალებს, სახელებს გვეტყვიან, თუ ვინ დაჰკითხეს, ჩვენ ამ ინფორმაციას გადავამოწმებთ. ამ გადამოწმებით კი შესაძლოა, გაირკვეს, რომ გამოძიება სრულყოფილად არ მიმდინარეობს. ასეთი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ ამ ყველაფერს, თუმცა ოფიციალური პასუხი ასეთია: ეს ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, კონფიდენციალურია. ჩვენ მათ არ ვთხოვთ დაკონკრეტებას, გვაინტერესებს გამოძიების პროცესის მიმოხილვა – რა გაკეთდა, რამდენად შედეგიანი იყო პროცესი და ა.შ.

***– მოგროვებული მასალების მიხედვით თქვენ დასკვნა უნდა დაწეროთ. როდისთვის უნდა გქონდეთ ეს დასკვნა მზად და რა განწყობას დააფიქსირებთ მასში?***

– საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან ბოლო შეხვედრისას ჩვენ ზეპირი დაპირება მივიღეთ, რომ პროკურატურისგან წერილობით ინფორმაციას მივიღებთ. ამ შემთხვევაში, ოფიციალურ წერილს დაველოდებით.

იქიდან გამომდინარე მოვამზადებ ანგარიშს, თუ რა პასუხი მოვა. ანგარიში დეკემბრამდე უნდა იყოს მზად, რადგან ამ დროისათვის ჰააგაში ძველ და უკვე ახლად არჩეულ პროკურორთან უდა გვქონდეს შეხვედრა.

თუკი არაფერი შეიცვალა, დღევანდელი მდგომარეობით, იმას გავიმეორებ, რაც პირველ ანგარიშში მქონდა ნათქვამი – რომ საქართველოში გამოძიება არ მიმდინარეობს.

***– ამ ანგარიშებს რეკომენდაციის ხასიათი აქვს თუ მათზე რეაგირების მოთხოვნა თუ შეგიძლიათ?***

– ეს ანგარიშები პროკურორის ოფისისთვისაა განკუთვნილი, ვცდილობთ, რომ მათ სრულყოფილი სურათის წარმოდგენაში დავეხმაროთ. ბუნებრივია, ისინი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მისი გაზიარება-არ გაზიარება მათზეა დამოკიდებული.

***– თქვით, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით, საქართველოში გამოძიება არ მიმდინარეობს, რაც წინა დასკვნაშიც აღნიშნეთ. რა მოტივი აქვს სააკაშვილის ხელისუფლებას, როცა ამ ყველაფერს არ იძიებს?***

– უპირველესად, აღვნიშნავ, რომ საქართველოს, როგორც რომის წესდების ხელმომწერ ქვეყანას, იმის შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ეს საქმე გამოსაძიებლად პირდაპირ სასამართლოსთვის მიეცა, თუმცა ასე არ მოიქცა. ჩემი აზრით, ამის მიზეზი შიში იყო, რომ თუ ჰააგის სასამართლო დაიწყებდა გამოძიებას, მაშინ საქართველოს, როგორც მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, გარკვეული სადამსჯელო ზომები იქნებოდა გამოყენებული. მეორე მიზეზი ისაა, რომ დანაშაულების გარკვეულ ნაწილში, მაგალითად, ცხინვალის დაბომბვა ავიღოთ, ისეთი იარაღი გამოიყენეს, რომლითაც წერტილოვანი დარტყმების განხორციელება არ შეიძლება. ამას სამოქალაქო მოსახლეობის განადგურება მოჰყვა, რაც ომის დანაშაულია. მაღალი ალბათობით, ამ დანაშაულებთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება ჰააგის სასამართლოს საქართველოს მაღალი თანამდებობის პირებზე გაიყვანს. მათ შორის, მთავარსარდლის პასუხისმგებლობის საკითხიც შეიძლება დადგეს. რა თქმა უნდა, ეს ხელისუფლებას ხელს არ აძლევს და ეს ბუნებრივიცაა.

***– შეგვიძლია ვთქვათ, რომ სანამ ეს ხელისუფლება იქნება, ამ საქმის გამოძიების დასრულებას არ უნდა ველოდეთ? ეს ადამიანები საკუთარი თავის წინააღმდეგ გამოძიების დამწყებები არიან?***

– ამას კატეგორიულად ვერ ვიტყვი. ოფიციალური უწყების თანამშრომლები გვიმტკიცებენ, რომ საქმეს იძიებენ. თუმცა, რამდენად ობიექტირია პროცესი, ეს მეორე საკითხია. ჩვენი მხრიდან, ვეცდებით, რომ ჰააგაში პროკურორის ოფისს რელაური სურათის დანახვაში ხელი შევუწყოთ.

ომის შედეგების გამოძიების პროცესის მონიტორინგთან დაკავშირებით ქვეყნის შიგნით აქტიურობას რაც შეეხება, ამ მხრივ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ გამოირჩევა. საია-ს წარმომადგენელმა ნათია კაციტაძემ გვიამბო იმ 400 კონკრეტული საქმის შესახებ, რომელშიც დამცველის სახით ეს ორგანიზაციაა ჩართული. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეების მიმდინარეობის შესახებ საია-საც არაფერს ეუბნებიან. ამიტომ, ახალგაზრდა იურისტებიც ეჭვობენ, რომ გამოძიება სულაც არ გრძელდება.

**ნათია კაციტაძე:**

– არსებული საქმეები ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: საქმეები, რომლებიც ეთნიკურად ქართველებს ეხება და მეორე – ეთნიკურ ოსებთან დაკავშირებული საქმეები. ქართველების შემთხვევაში, უამრავ დარღვევაზეა საუბარი, როგორიცაა სიცოცხლის უფლების დარღვევა, ქონების განადგურება და ა.შ. ნაწილი ამ ადამიანებისა საქართველოს პროკურატურის მიერ დაზარალებულად არის ცნობილი. მაგრან, ეს იყო 2008 წელს, 2009 წლის დასაწყისი. ისინი სწორედ ამ პერიოდში დაჰკითხეს. ჩვენ ვისაც წარმოვადგენთ სასამართლოში, მათგან 100-მდე ადამიანია დაკითხული. მას მერე მთავარი პროკურატურისაგან დანარჩენ 300-მდე საქმეზე ვითხოვთ რეაგირებასა და მასალების ჩვენთვის ჩვენებას. დღემდე არანაირი პასუხი არ მიგვიღია.

***– მას მერე საერთოდ არავინ დაკითხულა?***

– ამის შესახებ ჩვენ ინფორმაცია არ გვაქვს.

***– იმ ადამიანებისაგან, რომელთა ინტერესებსაც იცავთ და მათთან კონტაქტი გაქვთ, არაოფიციალურად ვერაფერს იგებთ?***

– მათგან გვაქვს ინფორმაცია, რომ არავინ მისულა დასაკითხად. მაგრამ, არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაც სხვები დაჰკითხეს, რაზეც ჩვენ ინფორმაცია არ გვაქვს.

***– ანუ, რომელ საქმეებთანაც გაქვთ შეხება, ისინი სრულიად გაყინულია.***

– ასეა. განსხვავებული სიტუაციაა ოსური წარმოშობის პირების საქმეებში. აქ მოკვლევა გაცილებით აქტიურად მიმდინარეობს. თუმცა, ვინმეს ბრალი გამოიკვეთა თუ არა, რა კონკრეტული შედეგი მოჰყვა გამოძიებას, ამაზეც არ გვაქვს ინფორმაცია. აქაც არანარი შედეგი არ ჩანს.

***– ამ შემთხვევაში, პრობლემას ქმნის ის, რომ ხელისუფლების დროის გაწელვის ტაქტიკა მის სასარგებლოდ მუშაობს...***

– დიახ, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ტარდება და არავითარ შედეგამდე არ მიდის, აქ ჩნდება კითხვები, რამდენად კარგად და მიუკერძოებლად მიდის პროცესი.

დღეს ეს გამოძიება შეგვიძლია ფორმალურად მივიჩნიოთ.

***– თქვენ რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმისათვის, რომ ჰააგაში პროცესები დააჩქაროთ?***

– ერთ-ერთია ევროსასამართლოს მექანიზმი, რასაც ვიყენებთ კიდეც და მის წინაშე გამოძიების არაეფექტურობის შესახებ ვაკეთებთ აქცენტებს. ასევე, ვინარჩუნებთ კონტაქტს ჰააგის სასამართლოსთან და მას დასკვნებს ვაწვდით. ჩვენი და სხვა სტრუქტურების აქტიურობით შეიძლება პროცესი დავაჩქაროთ, რათა თავად ჰააგის სასამართლომ დაიწყოს საქართველოში ოფიციალური გამოძიება.

# ნარკოდანაშაულის ფაქტზე სასამართლომ განაჩენი დაადგინა

2011 წლის 24 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა წარსულში ნასამართლევი ზურაბ ხუციშვილის მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა.

საქმის მასალების მიხედვით: გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ზურაბ ხუციშვილმა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ,,ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი.

2011 წლის 21 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, თბილისში კოსტავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებული იქნა ზურაბ ხუციშვილი. მას პირადი ჩხრეკის შედეგად 0,2085 გრამი ნარკოტიკული საშუალება ,,ჰეროინი“ აღმოაჩნდა.

Bბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განაცხადა, რომ ნარკოტიკული საშუალების ჩადება მოხდა მისი დამკავებელი პოლიციის თანამნშრომლების მიერ, ვინაიდან იგი იდევნება მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო.



საქმის არსებითი განხილვისას სამართლოს მიერ გამოკვლეული იქნა, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მკიცებულებები, რის შედეგად სასამართლომ მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობა, ზ. ხუციშვილის დამნაშავედ ცნობისათვის. კერძოდ: ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი; ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს; ასევე მოწმეთა ჩვენებები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ბრალდებულის დაკავებისას არანაირ კანონდარღვევას და იძულებას ადგილი არ ჰქონია; ნარკოლოგიური გამოკვლევის დასკვნა, რომლის თანახმად ზ. ხუციშვილს როგორც კლინიკურად, ასევე ლაბორატორიულად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ზურაბ ხუციშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა“ ქ/პუნქტით წარგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 (რვა) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# მამუკა კაციტაძე: „ოპოზიციას მემარჯვენეების კრიტიკის უფლება არა აქვს!“

ნათია ხურცილავა

**ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის წინასწარ შეხედულებებზე გვესაუბრება.**

***— ბატონო მამუკა, ვენეციის კომისიამ ხელისუფლებისა და ოპოზიციის არგუმენტები მოისმინა. როგორ ფიქრობთ, ვენეციის კომისია და შემდეგ ხელისუფლება გაითვალისწინებს იმ შენიშვნებს, რომლებიც თქვენ მიაწოდეთ?***

— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან მრავალთვიანი მოლაპარაკება იმთავითვე ითვალისწინებდა საერთაშორისო ექსპერტების, ვენეციის კომისიის დასკვნის მნიშვნელობას. ვენეციის კომისიის ვიზიტს ველოდებოდით და მის მნიშვნელობას ობიექტურად ვაფასებდით. შეხვედრები შედგა და კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ის საკითხები, რომლებსაც ჩვენ ვაყენებდით ხელისუფლების წინაშე, მნიშვნელოვანწილად ვენეციის კომისიამ საკუთარ წინასწარ რეკომენდაციებში დააფიქსირა. ვენეციის კომისიის განწყობაა, რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილებები არ უნდა იყოს ერთი პარტიის მიერ ცალმხრივად ინიცირებული, ამ შემთხვევაში — ხელისუფლების მიერ. ახალი საარჩევნო კოდექსი კომპრომისულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს, კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებულ დოკუმენტს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. არ არის კარგი, თუ ამ დოკუმენტში მხოლოდ მცირე ნაწილი იქნება შეთანხმებული და მეორე, უფრო დიდი ნაწილი კი — ხელისუფლების ერთპიროვნული გადაწყვეტილება. ეს პოზიცია ვენეციის კომისიამ ჩვენთან შეხვედრაზეც დააფიქსირა და პრესკონფერენციაზეც. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც ვენეციის კომისიამ გამოყო, არის: გუბერნატორებისთვის ღიად საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლების მიცემა. მეორე, 50 პროცენტამდე სახელმწიფო წილის მქონე ბიზნეს-სტრუქტურებისთვის უფლების მიცემა, რომ მათ საარჩევნო და პოლიტიკური სუბიექტები დააფინანსონ. ამ მხრივაც კრიტიკული იყო ვენეციის კომისიის დამოკიდებულება.

***— რა შეაფასა პოზიტიურად ვენეციის კომისიამ?***

— პოზიტიურად შეაფასა ის პუნქტები, რომლებიც შეთანხმებაში ჩაიწერა. თუმცა, ამავდროულად, აღნიშნა, რომ ეს არ უნდა იყოს საბოლოო ვარიანტი და არ უნდა შეჩერდეს პროცესი. ვენეციის კომისიამ თქვა, რომ ბიომეტრიული პარამეტრებით ამომრჩეველთა სიის შექმნა შორეულ პერსპექტივაში კვლავ უნდა დადგეს დღის წესრიგში და ამ საკითხს უნდა მიუბრუნდეს ქართული პოლიტიკური სპექტრი. ეს იყო სწორედ იმის დასტური, რომ ჩვენი მოთხოვნა ბიომეტრიასთან დაკავშირებით სწორი იყო. ერთადერთი მიზეზი, რატომაც ვერ მოხერხდება დღეს ეს, არის ის, რომ დროში ვერ ჩავეტევით. ერთი წლის წინ რომ გაეთვალისწინებინა ხელისუფლებას, მაშინ აღარ იქნებოდა ცაიტნოტური სიტუაცია. ვენეციის კომისიასთან ჩვენ დავაფიქსირეთ, რომ მთლად არ ვეთანხმებით.

***— კონკრეტულად რას?***

— საუბარია ვიდეოთვალსა და მარკირებაზე. ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ ეს ორი საკითხი მაინცდამაინც ვერ უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობასა და დაცულობას. ამიტომ ამას სჯობია ბიომეტრიული პარამეტრებით სიის შექმნა, მაგრამ, რადგან ვენეციის კომისია ამბობს, რომ შორსმიმავალი პერსპექტივაა ბიომეტრიული პარამეტრებით ამომრჩეველთა სიის შედგენა, მაშინ ახლო პერსპექტივაში რა ვქნათ, მთლად მოვაშიშვლოთ და გამჭვირვალობის საკითხი ღიად დავტოვოთ? ჩვენი შეთავაზებაა, სანამ ბიომეტრიული მონაცემებით მოხდება სიის შედგენა, მანამდე არ იქნებოდა სწორი, რომ ხელის ერთი მოსმით გაგვეუქმებინა, ერთი მხრივ, ვიდეოთვალი და, მეორე მხრივ — მარკირების პროცესი. ამასთანავე, მინდა შევეხო საკითხს, რომელიც სამსჯელო გახდა და არასწორი ინტერპრეტირებით იქნა ხელისუფლებისგან მოწოდებული.

***— რას გულისხმობთ?***

— მცირე სასჯელის მქონე პატიმრებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიცემას. ჩვენ, ახალი მემარჯვენეები და საერთოდ ოპოზიცია, ამ საკითხს არ ვეწინააღმდეგებით, მაგრამ, მათ თუ უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, გასათვალისწინებელია ის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების სამ ძირითად პრობლემათა ნუსხაში, რომლებსაც სახელმწიფოს წინაშე აყენებენ, ერთ-ერთი არის პენიტენციალური სისტემა, პატიმართა უფლებები, მათი მდგომარეობა. თუ ხელისუფლებას ვეუბნებით, რომ ეს სისტემა გაუმართავია და პრობლემებით არის დახუნძლული, მაშინ, როგორ მოხდება ციხეებში პატიმართა თავისუფალი ნების გამოხატულება? ისინი ხომ სერიოზული წნეხის ქვეშ აღმოჩნდებიან. მათი თავისუფალი ნება ვერ დაფიქსირდება. არასაარჩევნო პერიოდში არის სერიოზული კრიტიკა ამ მიმართულებით და საარჩევნო პერიოდში რა მოხდება, ხომ წარმოგიდგენიათ. თუმცა, ჩვენ არ ვამბობთ უარს არჩევნებში პატიმრების მონაწილეობაზე და ხელისუფლებას ვთავაზობთ, არსებული პრობლემების გათვალისწინებით, გვეფიქრა, რომ მცირე სასჯელის მქონე ან უნებლიე დანაშაულისთვის დაპატიმრებულები ამნისტიისთვის დაგვექვემდებარებინა. ისედაც გამრავლდა პატიმართა რაოდენობა ქვეყანაში. მათი ინტეგრაცია მოხდებოდა საზოგადოებასთან და ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებში მოხდებოდა მათი ნების გამოხატვა. თუ ხელისუფლება ამნისტიის იდეას არ იზიარებს, მაშინ არსებობს მეორე ვარიანტი. ქართული კანონმდებლობა იცნობს ე.წ. შვებულების ცნებას იმ პატიმრებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით საშიშნი და განსაკუთრებული საჯელის მქონენი არ არიან. ამ პატიმრებისთვის მიგვეცა ხანმოკლე შვებულება არჩევნების დროს და ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებში ამომრჩევლებთან ერთად მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა. ამ შემთხვევაში მათი არჩევანი ხელისუფლებისთვის ცხადი არ იქნებოდა. შესაბამისად, ისინი ხელისუფლების მხრიდან წნეხის ობიექტნი ვერ გახდებოდნენ. ჩვენ ხომ ვიცით, პატიმრებისაგან რომელიმე საკანში სულ რამდენიმე ხმა რომ დაფიქსირდეს ოპოზიციის სასარგებლოდ, მთელი კონტინგენტი დაექვემდებარება ხელისუფლების წნეხს. ამის პრეცედენტები გვაქვს, როგორ სჯიან მთელ საკანსა და ყველა პატიმარს, თუ ერთმა პატიმარმა გაბედა და წერილი გაუგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციას ან ქართველ საზოგადოებას. ამ საკითხთან დაკავშირებით ალტერნატიულ წინადადებებს შევთავაზებთ ხელისუფლებას. ამით ყბადაღებულ თემას, რომ თითქოს ოპოზიცია ეწინააღმდეგება, მოვხსნით. ასევე იყო სხვა საკითხი, რომელიც დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის კენჭისყრის უფლების დაშვებას ითვალისწინებს. ქართული პოლიტიკური სპექტრის პარტიული განვითარების ხარისხი, გნებავთ დონე, არ არის იმ რანგში საქართველოში, რომ ამ მიმართულებით ფართოდ გავხსნათ კარი. ვენეციის კომისიას ვუთხარი, რომ ჩემი მაჟორიტარი კოლეგები 2004-2008 წლების პარლამენტში წამოდგებოდნენ ხოლმე და მიკროფონში საუბარს შემდეგი სიტყვებით დაიწყებდნენ: მე არ ვარ პოლიტიკოსი, მე პოლიტიკაში არ ვერევი და შემდეგ იწყებოდა კონკრეტული თემის განვითარება. ეს ნიშნავდა, რომ ისინი პარტიის წევრები არ იყვნენ და თვლიდნენ, რომ პოლიტიკაში არ ერეოდნენ. თუ პოლიტიკაში არ ერევი, მაშინ რა გინდა პარლამენტში? სწორედ ეს არის ერთგვარი გამოხატულება არასაკმარისი პოლიტიკური დონისა, რაც არსებობს ჩვენს ქვეყანაში და ამაზე თვალის დახუჭვა არასწორი იქნება.



ვიმეორებ, პოზიტიურად და არა იდეალურად იქნა შეთანხმების მთელი რიგი პუნქტები შეფასებული, მათ შორის, მედია მონიტორინგის საკითხი ადმინისტრაციული რესურსის განეიტრალების კუთხით, ის სახელმწიფო კომისია, რომელმაც უნდა დაადგინოს ამომრჩეველთა ერთიანი სია. კითხვები იყო პარლამენტის რიცხოვნობასთან და ოლქების გათანაბრებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ვერ მივიღეთ იდეალური ვარიანტი, ოლქები იმდენად გათანაბრდეს, რომ 15-პროცენტიან ცდომილებაში მოექცეს ის, რაც არის ვენეციის კომისიის სტანდარტი, მაგრამ ის, რომ 2600-პროცენტიანი ცდომილება ჩამოდის დაახლოებით 1400 პროცენტზე, პოზიტივის სიმპტომია, თუმცა, შორს არის სტანდარტებისაგან. ასევე, განსხვავებით საკონსტიტუციო ცვლილებებისაგან, პარლამენტში საარჩევნო კოდექსთან პირველი მოსმენის განხილვებიც კი დაიწყება მას შემდეგ, როდესაც საბოლოო დაკვნა გახდება ცნობილი. ვენეციის კომისიის ძირითად პოზიციას 16-17 დეკემბერს მოვისმენთ, როდესაც ვენეციის კომისიის დასკვნა დაიდება. სწორედ მის საფუძველზე და მისი გათვალისწინებით მოხდება ამ ხედვების კანონში გადატანა საშემოდგომო სესიის ბოლოს, ანუ დეკემბრის ბოლოსთვის. ესეც პოზიტივია.

***—სამუშაო პროცესი გაგრძელდება?***

—სანამ ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა გვეცოდინება, ვეცდებით, ინტენსიური მუშაობა წარვმართოთ ხელისუფლებასთან ძირითადად ორი მიმართულებით: პირველი — ეს არის შეთანხმების 12-ვე პუნქტის სრულფასოვანი გადატანა კოდექსში, რათა გზაში არაფერი დაიკარგოს, ასევე ცალმხრივი ინიციატივები, რომლებიც ხელისუფლებამ გააჟღერა და რომელიც არ იყო შეთანხმებული ოპოზიციასთან. ეს იყო, ერთი მხრივ, ფორმატის დარღვევა, მეორე მხრივ, შინაარსობრივად არის ჩვენთვის მიუღებელი. ამიტომ ეს საკითხი ისევ უნდა გახდეს მსჯელობის საგანი. ბევრი ამ წინადადებიდან, რომელიც ვერ გახდება შეთანხმების საგანი, კოდექსის პროექტიდან უნდა ამოვიდეს. კიდევ ერთი საკითხია, რომელიც გაჟღერდა, თუმცა დაწერილი არავის უნახავს, რომ იურიდიულ პირებს აღარ მიეცათ პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების ნება.

***— ამბობენ, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას უკავშირდება. რას იტყვით?***

— თითქოს ამას მიაწერდნენ, რომ „გრეკოს“ რეკომენდაციებში არის, მაგრამ ვენეციის კომისიამ თავად თქვა, რომ ის ეწინააღმდეგება სახელმწიფო წილის მქონე კომპანიების მხრიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას. აქედანაც ჩანს, რომ ეს „გრეკოს“ ინიციატივა არ არის. ჩვენთვის კონკრეტული საიტი გახდა ცნობილი, სადაც მსგავსი არაფერი აქვს ნათქვამი „გრეკოს“, რომ თითქოს ის ეწინააღმდეგება პარტიების დაფინანსებას. ვერანაირი საბაბით, რომ გარკვეული პიროვნებების წინააღმდეგ არის ეს კამპანიური ხასიათის ინიციატივა გადადგმული, ვერ უნდა გახდეს ქართული კანონმდებლობის ნაწილი. ეს ვერანაირად ვერ გამართლდება, მით უმეტეს, თუ მიზეზად მოგვაქვს ის, რომ ვიღაცის წინააღმდეგ არის გადადგმული. თუ მართლა ასეა და ვიღაცის წინააღმდეგ არის გადადგმული, მაშინ მით უმეტეს დაუშვებელია ამ მეთოდებით ბრძოლის გაჩაღება პოლიტიკურ კონკურენტებთან. რა მნიშვნელობა აქვს, ის კონკურენტი ჩვენ მოგვწონს თუ არა. თამაშის წესი თამაშის წესია. ის უნდა იყოს სამართლიანი და, აქედან გამომდინარე, ჩვენ ჩვენი განსხვავებული მოსაზრება გვექნება. ჩემი თხოვნაც იქნება, მოწოდებაც ყველასადმი, მანამ, სანამ კანონპროექტს პროექტი ჰქვია, სანამ განხილვის პროცესშია და სანამ ჯერ კიდევ არის პრაქტიკული შანსები დარჩენილი, რომ მიუღებელი საკითხები კანონპროექტიდან ამოვიღოთ და შეთანხმების ობიექტად ვაქციოთ ახალი კოდექსი, მანამდე დასკვნების გაკეთებისგან თავი შევიკავოთ, ნურც დადებით დასკვნებს გავაკეთებთ და ნურც უარყოფითს. როდესაც პროექტი მიიღებს საბოლოო სახეს, შეიძლება რაღაცაზე ვერ შევთანხმდეთ და, რაზეც ვერ შევთანხმდებით, ამას ჩვენ ვიტყვით. ბუნებრივია, მასზე პასუხისმგებლობასაც არ გავინაწილებთ, მაგრამ, სანამ ეს პროცესი მიმდინარეობს, ვერდიქტების გამოტანა, წერტილების დასმა და ზედ ბეჭდის დარტყმა, პლუს პიარის აგორება, პოლიტიკური ბრძოლით არის დატვირთული, ვიდრე საარჩევნო გარემოს რეალური გაჯანსაღებით. მესმის, რომ ბევრისთვის ის შეთანხმებაც არ იყო მისაღები, იმდენად შინაარსობრივად არა, რამდენადაც პოლიტიკური თვალსაზრისით. სარედაქციო ჯგუფის მუშაობის პროცესი არ არის მომხიბლავი, რადგან ამ შემთხვევაშიც პოლიტიკური პრობლემები ჩნდება და არა შინაარსობრივი ხასიათის. დღეს ამბობენ, რომ გაცილებით უფრო სანდო თუ სამოქალაქო რეესტრი და ცენტრალური საარჩევნო კომისია დაადგენს ამომრჩეველთა ერთიან სიას. კი მაგრამ, დღევანდელი საარჩევნო სია, რომლის მიმართაც პრეტენზიები არსებობს, ამ ორი სტრუქტურის მიერ არ არის დადგენილი? თუ ასეთი სანდო დამოკიდებულება გვქონდა მათთან, მაშინ რატომ იყო უნდობლობა და სერიოზული შენიშვნები ამ სიის მიმართ? რა ჯობია, ერთპარტიული სამოქალაქო რეესტრისა და ერთპარტიული ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო სია თუ სახელმწიფო კომისიის მიერ დადგენილი სია.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## სასამართლომ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებების თაობაზე განაჩენი დაადგინა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა წარსულში ნასამართლევი ლაშა გაგნიძის მიმართ, რომელსაც ბრალი ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებისთვის წარედგინა.

საქმის მასალების მიხედვით: ლაშა გაგნიძემ ქორწილის გადახდა, 2011 წლის 30 აპრილს, ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, რესტორან „სენატში" გადაწყვიტა. ამავე წლის 24 აპრილს, ლაშა გაგნიძე და რესტორნის მენეჯერი შეთანხმდნენ, რომ ლ. გაგნიძე ორი დღის განმავლობაში „ბე"-ს სახით წინასწარ 2000 (ორი ათასი) ლარს გადაიხდიდა. ფულადი თანხის გადახდის მიზნით, ის მართლაც მივიდა ზემოაღნიშნულ რესტორანში, თუმცა რესტორან „სენატში" საქორწილო დარბაზები უკვე დაკავებული იყო, რის გამოც მან ვერ მოახერხა საქორწილო სუფრის შეკვეთა. ამ დროისათვის ლაშა გაგნიძეს სტუმრები, რესტორან „სენატში" უკვე დაპატიჟებული ჰყავდა. მას მოერიდა მათთვის განმარტების მიცემა და გადაწყვიტა ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება განეხორციელებინა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ შეტყობინება გამოიწვევდა სრულ ქაოსს და ის მოახერხებდა სტუმრებისთვის რეალური მიზეზის დამალვას. ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2011 წლის 30 აპრილს, ლაშა გაგნიძე სტუმრებთან ერთად აღნიშნულ რესტორანში მივიდა. დაახლოებით 17:50 წუთზე მან მისი მეუღლის სარგებლობაში არსებული სილქნეტის უკაბელო ტელეფონიდან საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის რადიოსადგურ „022"-ის ოპერატორთან განახორციელა ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება, თითქოს რესტორან „სანატში" იყო ბომბი.

სასამართლო განხილვისას ლაშა გაგნიძემ სრულად აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული. გარდა ლაშა გაგნიძის აღიარებითი ჩვენებისა, მის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა დადასტურდა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენებებით, სატელეფონო საუბრების კრებსებით, ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება და ლაშა გაგნიძეს განესაზღვრა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 2 წელსა და 6 თვეს მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის, ხოლო დარჩენილი 2 წელი ჩაეთვალა პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

# პაატა ვარდანაშვილი: „ფერეიდნელების ქართველობას დრომ და სიშორემ ვერაფერი დააკლო“

## ცნობილი ფოტორეპორტიორი საავტორო უფლებების დასაცავად სასამართლოში არ იჩივლებს

თეა მარხვაიძე

**ცნობილი ფოტორეპორტიორი პაატა ვარდანაშვილი თავის ცხოვრებას ორ ნაწილად ყოფს, მანამდე, სანამ ფოტოაპარატი არ ჰქონდა და მას შემდეგ, რაც ფოტოაპარატი აქვს. ის ცდილობს, ყოველ უქმეებზე საქართველოს რომელიმე კუთხეში წავიდეს და იქაურობას გადაუღოს სურათები. მისმა ფოტოობიექტივმა ბევრი ულამაზესი ადგილი დააფიქსირა.**

ეს ფოტოები ყველასთვის ხელმისაწვდომია. ავტორი მათ თავის საიტზე დებს. თუმცა, ამ ფოტოებით სხვებიც სარგებლობენ. მისი ფოტო ხშირად ისე გამოუყენებიათ, რომ მისთვის ნებართვა არ უთხოვიათ. ადრე ამას ყურადღებას არ აქცევდა. ახლა აპირებს, რომ საავტორო უფლებების დასაცავად იბრძოლოს.

სურათების გადაღება საქართველოს ყველა კუთხეში უყვარს. ამბობს, რომ საქართველოს კუთხეები ერთმანეთზე ლამაზია. განსაკუთრებით მთა უყვარს. მთაში ხევსურეთს ეტრფის გამორჩეულად.

რატომ უყვარს ასე ძალიან ხევსურეთი, რატომ არიან ყველაზე დიდი ქართველები ფერეიდნელები, იცავენ თუ არა უცხოელი ტურისტები ქართულ ტრადიციებს, როგორ აპირებს საავტორო უფლებების დაცვას, ამის შესახებ ფოტორეპორტიორი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**პაატა ვარდანაშვილი:**

– თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, როცა ჩემს ფოტოებს ჩემ დაუკითხავად იყენებდნენ. არასოდეს მომითხოვია, ფოტოზე მიეწერათ, ვისი გადაღებული იყო. უბრალოდ, ვითხოვდი, ჩემთვის დაერეკათ და შეეთანხმებინათ, ფოტოს გამოყენებას რომ აპირებდნენ.

***– ამბობთ, აქამდე არ ვაქცევდი ყურადღებასო. ახლა რატომ მიაქციეთ ამას ყურადღება, თქვენი ფოტოების გამოყენებამ სისტემატური სახე მიიღო?***

– არც უმაგისობაა. ამასთან, ახლა ჩემი ტურისტული სააგენტო მაქვს და ამ ფოტოებს თავად ვიყენებ. ახლა ამას უკვე სერიოზულად ვაქცევ ყურადღებას. ფოტოებს იყენებენ სააგენტოები, ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზიაში მოხვდა ჩემი ფოტოები თან ძალიან ცუდ კონტექსტში.

***– რას გულისხმობთ?***

– ჩემი დისშვილის ფოტოები იყო გამოყენებული, როგორც ბავშვთა სახლის აღსაზრდელის. ეს ამბავი ჩემმა დისშვილმა ძალიან განიცადა. დედამისს უთხრა: შენ კი იცი, რომ შენი შვილი ვარ, მაგრამ, სხვები ხომ იტყვიან, ეს ბავშვი ბავშვთა სახლიდან ყოფილაო. ტურისტული სააგენტოებიც იყენებენ ჩემს ფოტოებს. ზოგჯერ მირეკავენ და ვაძლევ. ზოგი დაუკითხავად იყენებს. ვიდრე ამაზე საჯარო სკანდალს ავტეხ, პირადად მათ ვწერ, რომ ჩემი ფოტოები თავიანთი გვერდიდან ამოიღონ.

***– რას გეუბნებიან?***

– პასუხი ასეთია: გუგლში ვიპოვეთო.

***– თუ მართლაც გუგლის საძიებო სისტემაში იპოვეს?***

– გუგლში ჰაერიდან არ მოხვედრილა. ფოტოს როცა იპოვი, ის აუცილებლად მიგიყვანს კონკრეტულ საიტამდე. მოძებნა პრობლემა არ არის.

***– საავტორო უფლებების დასაცავად სასამართლოშიც ხომ არ აპირებთ ჩივილს?***

– ჯერ სასამართლოში მისვლას არ ვაპირებ. ვცდილობ, ეს პრობლემა მიწერ-მოწერით მოვაგვარო. სასამართლოში ჩივილი გამოსავალი ნამდვილად არ არის. სამწუხაროდ, საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის მხრივ დიდი პრობლემებია. როგორც ვიცი, დიდი პრობლემები აქვთ მუსიკოსებს. საბედნიეროდ, სახელმწიფომ დაიწყო საავტორო უფლებების დაცვის კამპანია. მართალი რომ გითხრათ, ამიტომ უფრო გავაქტიურდი.

***– გჯერათ, რომ სახელმწიფო დაიცავს თქვენს საავტორო უფლებებს?***

– იმედი მაქვს. შექმნილია სათანადო სამსახური. ვფიქრობ, რომ ასე უფრო მოხდება ნებისმიერი საავტორო უფლებების დაცვა.

***– თქვენი ფოტოები ძალიან ლამაზია. განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მთაში გაქვთ გადაღებული. როდის დაიწყეთ სურათების გადაღება?***

– მთელი ცხოვრება საქართველოს კუთხეებში ვმოგზაურობდი. არ არსებობდა შაბათი-კვირა, სადმე არ წავსულიყავი. პიონერთა სასახლეში მხარეთმცოდნეობის წრეზე დავდიოდი. ჩემს ცხოვრებას ვყოფ ორ ნაწილად – სანამ ფოტოაპარატი არ მქონდა და მას შემდე,გ რაც აპარატი გამიჩნდა. რაც ფოტოაპარატი შევიძინე, ძალიან ბევრი რამე შეიცვალა ჩემში. წლების განმავლობაში ვმუშაობდი სხვადასხვა რედაქციაში ფოტორედაქტორად. ხელი მიმიწვდებოდა სამსახურის ფოტოაპარატებზე და ვიღებდი ფოტოებს. 2000 წლების დასაწყისში ჩემი აპარატიც ვიყიდე და ისევ ვიღებ ფოტოებს. ეს ჰობი აღარ არის. ეს უკვე ჟინად მექცა. შაბათ-კვირას ვცდილობ, სადმე წავიდე. ძალიან ბევრი ფოტო დამიგროვდა. დავიწყე ამ ფოტოების ჩემს საიტზე დადება.

***– რამდენადაც ვიცი, თქვენ პროფესიით ფოტოგრაფი არ ხართ.***

– პროფესიით პიარ-მენეჯერი ვარ. ფოტორედაქტორობის დროს გავიცანი ბევრი ფოტოხელოვანი, რომლებთანაც კონსულტაციები მქონდა. ძალიან ხშირად დავდიოდი იური მეჩითოვის ლექციებზე. გამოცდილი ფოტოგრაფებისგან ბევრი რამე ვისწავლე.

***– დღეს ფოტოებს ძირითადად იმიტომ იღებენ, რომ ფეისბუქზე დადონ. თქვენ გაქვთ თქვენი საიტი, მაგრამ მაინც დებთ ფეისბუქზე. რატომ?***

– ადრე ფოტოებს მხოლოდ ჩემს საიტზე ვდებდი. ბოლო 2 თვეა, აქ დავიწყე მათი დადება. სხვათა შორის, ძალიან პოპულარული გახდა. უცხოელები მირეკავდნენ, მწერდნენ, რომ უნდოდათ ჩემთან ერთად მიგზაურობა. სურდათ, ენახათ ის ადგილები, სადაც ეს ფოტოებია გადაღებული. სწორედ ამ ფოტოებმა შემაქმნევინა ტურისტული სააგენტო. ხევსურეთში ერთ-ერთი სტუმრობის დროს გავიცანი იქაური პოეტი და მომღერალი გელა დაიაური. ბოლო დროს სულ ერთად დავდიოდით. ძალიან ბევრს უნდოდა ჩვენთან ერთად სიარული.

***– რატომ, კაი „ტოჩკები“ იცით?***

– შეიძლება ითქვას, რომ ბევრი კარგი ადგილი ვიცი. საქართველოს კუთხეებს კარგად ვიცნობ. მთაში თითქმის ყველა კენჭი ვიცი. 2-3 თვეა, ფოტოაპარატი გაფუჭებული მაქვს და ხალხი მწერს, ფოტოები დადეო. ხალხის მოთხოვნას ვითვალისწინებ და ძველ ფოტოებს ვდებ. მოგზაურობისას თუ ვინმეს აქვს აპარატი, იმას ვართმევ და მისი აპარატით ვიღებ.

***– არ გკითხავთ, რომელი კუთხეა ყველაზე ლამაზი, იმიტომ რომ ყველა ერთმანეთზე ლამაზია. მაინტერესებს, როგორც ფოტორეპორტიორი, რომელ კუთხეს მიიჩნევთ ყველაზე საინტერესოდ?***

– როდესაც სადმე მივდივარ, იმ მომენტში ის კუთხეა ყველაზე ლამაზი. ხევსურეთი მიყვარს განსაკუთრებით, თუმცა, გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომელი კუთხე ჯობია. ულამაზესია საქართველო. უნდა ვთქვა, რომ სილამაზე არ არის მხოლოდ ბუნება და არქიტექტურა. მთავარი ადგილობრივი მოსახლეობაა. ეს ხალხიც ასევე ძალიან მიყვარს. რომელ კუთხეშიც ჩავდივარ, ვამბობ, რომ იქაური სტუმარმასპინძლობა ყველაზე კარგია. ეს არის ზუსტად საქართველოს სიმდიდრე. ბუნებასთან ერთად ხალხიც ძალიან ლამაზია. ჩვენნაირი სტუმარმასპინძლობა არსად არ იციან.

***– მეგრული სტუმარმასპინძლობა, ალბათ, განსაკუთრებულია.***

– საოცარი მასპინძლობა იციან მეგრელებმა. წელს რამდენჯერმე მომიწია სამეგრელოში ყოფნა. ორჯერ ტობა ვარჩხილზე ვიყავი, უფრო ზუსტად, ერთხელ ვიყავი, ერთხელ ვერ შევძელით ასვლა. მეორედ რომ წავედით ექსპედიციაში, ცოტანი ვიყავით. საჭმელი არ წავიღეთ, რადგანაც ვიცოდით, რომ არ დაგვჭირდებოდა. ვიცოდით, რომ საღამოს მწყემსების კარავში გავათევდით. ძალიან კი გვერიდებოდა, მაგრამ ძალით შევყავდით კარავში. მეგრელებმა საოცარი სტუმარმასპინძლობა იციან. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ სამეგრელოში იციან სტუმარზე ასეთი გადაყოლა. სამეგრელოდან თუშეთში უნდა წავსულიყავით 10 დღით. ფეისბუქზე დავწერე, მეგრელებმა დაამტკიცეს თავიანთი სტუმარმასპინძლობა და ახლა ჯერი თუშებზეა-მეთქი.

***– როგორ ჩააბარეს თუშებმა ეს გამოცდა?***

– გადასარევად. საქართველოში არ არის კუთხე, სადაც სტუმარი არ უყვართ. საოცრად თბილად მახსოვს წლევანდელი აღდგომის ღამე გურიაში. 20 კაცი წავედით. კარავში უნდა გაგვეთენებინა ღამე. მანქანა გაგვიფუჭდა გზაში და ოზურგეთში გვიან ჩავედით. სხვაგან წასვლას აზრი არ ჰქონდა. მეგობარს დავურეკეთ და ვთხოვეთ, რომ მის ეზოში გაგვეშალა კარავი. მასპინძელმა კარვის გაშლის უფლება არ მოგვცა. ეგ კი არა, რაც საჭმელი გვქონდა წაღებული, უკან გამოგვატანა. შუადღისას ძალით მიგვიყვანეს სუფრასთან. ჩემი მეგობრები შოკში იყვნენ. საოცრად გვიმასპინძლეს. არადა, ეს ისეთ გაჭირვებულ მხარეში ხდება, როგორიც გურიაა.

***– საქართველოში მოგზაურობისას მხოლოდ ფოტოებს იღებთ? ფოლკლორის ნიმუშებსარ აგროვებთ?***

– როგორ არ ვაგროვებთ. მე და გელა დაიაური ყოველ წელს ვაწყობთ ფოლკლორულ საღამოებს. აქამდე წელიწადში ერთხელ ვაწყობდით, ახლა უკვე – რამდენჯერმე. თავიდან ამას ხევსურული საღამო ერქვა. მომღერლები და პოეტები მხოლოდ ხევსურეთიდან ჩამოგვყავდა. ახლა ყველა რეგიონის წარმომადგენელი ჩამოდის. 5 საათი გაგრძელდა წელს კონცერტი. დღეს მთის ფოლკლორს ვინც მღერის, ხევსურული საღამოებიდან არიან აღმოჩენილები.

***– მოდით, ისევ მოგზაურობებს დავუბრუნდეთ. ექსპედიციების დროს გაუგებრობებში არ მოხვედრილხართ?***

– არავითარი გაუგებრობა. მარტო მე კი არა, გაუგებრობაში არავინ მოხვედრილა. თუ რამე მომხდარა, ესეც სტუმრის ბრალი ყოფილა. როდესაც სადმე ჩადიხარ, თუ იქაურ ქუდს არ დაიხურავ, იქაურ ტრადიციებს პატივისცემით მაინც უნდა მოეპყრა. ჩვენ ვიცავთ ამ ტრადიციებს და ხევსურეთიდან, ყაზბეგიდან, სვანეთიდან და თუშეთიდან გაოგნებული ჩამოვდივართ.

***– ამბობთ, იქაურ ტრადიციებს პატივი უნდა ვცეთო. იქაური ტრადიციების დაცვა არ გიჭირთ? მათი დაცვა ადგილობრივებსაც კი უჭირთ. უცხოელების რეაქციები როგორია?***

– ჩვენ ვცდილობთ, დავიცვათ ეს ტრადიციები. თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში არის ადგილები, სადაც არ შეიძლება, ქალმა გაიაროს. ვიცი, სადაც არის ეს ადგილები და ვცდილობ, იქ არავინ გავატარო.

***– უცხოელებს ესმით ეს?***

– სხვათა შორის, არასდროს ყოფილა ამაზე პრეტენზია, განსაკუთრებით – უცხოელებისგან. პრეტენზიები ქართველებს უფრო აქვთ ხოლმე.

***– თქვენ თუ დაგირღვევიათ რაიმე ტრადიცია?***

– თუშეთში არ უნდა წაიღო ღორის ხორცი. თავიდან არ ვიცოდი. მერე ვიცოდი და წავიღე. ახლა აღარ ვარღვევ ამ წესს. ეს არის ამ კუთხის ტრადიცია და მე ვიცავ მას. მე მგონია, რომ როცა სადმე ჩადიხარ, ბევრად უფრო საინტერესოა, იქაური წესებით იცხოვრო. უცხოელებს ძალიან იზიდავთ ეს ტრადიციები.

***– კიდევ რა იზიდავთ უცხოელებს მთაში?***

– განსაკუთრებით უყვართ ბუნება. მოსწონთ ჩვენი სამზარეულო და ფოლკლორი. როცა რამდენიმე დღით მივდივართ, ვცდილობ, ან თან წავიყვანო მომღერალი, ან ადგილზე დავახვედრო ვინმე.

***– თავადაც მღერით?***

– სამწუხაროდ, არ მეხერხება, მაგრამ სხვა სასარგებლო საქმეებს ვაკეთებ.

***– მაგალითად?***

– ძალიან ბევრ მეცხვარეს ვიცნობ. ზამთარში, როცა მთა მენატრება და თოვლის გამო ვერ ავდივარ, შირაქში ჩავდივარ მწყემსებთან. თუშ მეცხვარეებთან ვმეგობრობ. მათთან ერთად ბინებში ძალიან დიდი ხანი ვცხოვრობ ხოლმე. კარგად ვიცი მათი წესები. მხოლოდ პირველი დღე ვარ სტუმარი და მერე საქმეებს ვაკეთებ.

***– ცხვარსაც უვლით?***

– ბევრ საქმეს არც მაკეთებინებენ. რაც შემიძლია, იმას ვაკეთებ.

***– მაინც რას? ცხვარი გაგიკრეჭიათ?***

– გაკრეჭა ვცადე, მაგრამ მერე ცხვარი შემეცოდა და თავი დავანებე. მოკლედ, ისეთ საქმეს ვაკეთებ, რომ არაფერი გავაფუჭო. მეგობრებთან ერთად ხშირად დავდივართ მონასტერში, ვეხმარებით დედაოებსა და ბერებს. შეშას ვუმარაგებთ ხოლმე.

***– საქართველოს გარდა, თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება რომელმა ქვეყანამ დატოვა?***

– ირანიდან განსაკუთრებული ემოციით დავბრუნდი. ფერეიდანში სტუმრობა არასდროს დამავიწყდება. ეს იყო რაღაც საოცრება. იქაურებს თეონა ქუმსიაშვილის ალბომი ჩავუტანე. ეს ალბომი ერთ-ერთ ოჯახს გადავეცით საჩუქრად. მეორე დღეს, ისპაჰანში რომ ჩამოვედი და ქართველის მანქანაში ჩავჯექი, თეონას სიმღერას უკვე ისმენდნენ – უცბად გაუვრცელებიათ. ამის გარდა, ტექსტი ამოწერეს და ერთმანეთს მესიჯებით უგზავნიდნენ. თეონას სიმღერა აქვს დაწერილი ემიგრანტებზე. მათაც ვუთხარი, ეს სიმღერა ემიგრანტებზეა დაწერილი-მეთქი. თქვეს, ჩვენს გულში იჯდა და ჩვენი გულით დაწერაო. შარშან ხევსურულ საღამოზე დიდი ჯგუფი ჩამოვიდა ირანიდან იმისთვის, რომ თეონა გაეცნოთ. მერე მომწერეს, ბედნიერები ვართ, რომ გავიცანითო. ფერეიდნიდან საოცარი სითბო გამოვიყოლე. ვერ წარმოიდგენთ, როგორი დიდი ქართველები არიან. მათ ქართველობას დრომ და მანძილმა ვერაფერი დააკლო. ფერეიდნელებმა კაფეში მოგვიწყვეს შეხვედრა. ძალიან ემოციური იყო. ყველა ტიროდა. როგორც უკვე ვთქვი, ნამდვილი ქართველები არიან. აქ შეიძლება „ვეფხისტყაოსანი“ ბევრს წაკითხული არც კი ჰქონდეს, იქ კი ზეპირად იციან. იცით, რამდენი ლექსი იციან ზეპირად? მარტო ძველი კი არა, თანამედროვე პოეტების ლექსებიც. ამ ლექსებს ინტერნეტით ეცნობიან. სპორტული მაღაზია თუკი არის სადმე, ყველგან კალაძის ფოტო აქვთ გამოკრული. ერთ-ერთ ოჯახში მოგვიწია ღამის გათევა. იოსელიანების ოჯახი იყო. ღამე არ დაგვაძინეს. თქვენ როდისლა მოხვალთო და ქართულ ამბებს გვაყოლებდნენ. ჩვენც ვყვებოდით, მერე ჩამოგვეძინებოდა, მოდიოდნენ, გვაღვიძებდნენ და ისევ რამე მოგვიყევითო. ვისაც სიმღერა შეეძლო, ამღერეს. ეს ძალიან დიდი ბედნიერება იყო. მათი ოცნება საქართველოში ჩამოსვლაა. მათ უნდა მოვეფეროთ და ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენებურები არიან.



ზამთარში, მთა რომ მენატრება, შირაქში მივდივარ მეცხვარეებთან

ეკა ირემაშვილი

**მსახიობ ნუგზარ ყურაშვილს საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. მისი თეატრალური თუ კინოროლები ქართული ხელოვნების მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი.**

# ნუგზარ ყურაშვილი: „ტელევიზია და კინო თეატრს ვერ შეჭამს“



სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის დაარსება სწორედ ნუგზარ ყურაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მსახიობმა რამდენიმე ადამიანთან ერთად სამი ათეული წლის წინ გლდანის რაიონში თეატრი დააარსა, რომლის ერთგულიც ბოლომდე დარჩა და, როგორც თავად ამბობს, მრავალი მაცდური წინადადების მიუხედავად, არც სხვა თეატრებში გადავიდა და არც მშობლიური თეატრის მმართველის თანამდებობა დაიკავა.

ნუგზარ ყურაშვილმა მონაწილეობა მიიღო რეჟისორ დიმა ხვთისიაშვილის სპექტაკლში „ღია შუშაბანდი“, სადაც მთავარი გმირი დათიკო ითამაშა. როგორც მსახიობი ამბობს, შადიმან შამანაძის 30 წლის წინ დაწერილი პიესა დღევანდელობას ყველაზე მეტად ეხმაურება.

რა ხარვეზებს ხედავს მშობლიურ თეატრში, რატომ არ გადადის სხვა თეატრებში და მოსწონს თუ არა პოპულარობა, ამ თემებზე ბატონი ნუგზარ ყურაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ნუგზარ ყურაშვილი:**

– ახმეტელის თეატრი ჩემი შვილივითაა. იგი ძალიან მიყვარს და მისი დაარსებიდან დღემდე ამ თეატრში ვმუშაობ. რეჟისორმა დიმა ხვთისიაშვილმა ჩვენს თეატრში დადგა „ღია შუშაბანდი“, სადაც ვითამაშე მთავარი როლი – დათიკოს პერსონაჟი განვასახიერე. მიუხედავად იმისა, რომ ძველი პიესაა, საოცრად აქტუალურია. თუ მაშინ იყო აქტუალური გაჭირვების, უქონლობისა და უსახსრობის მომენტი და ამის ნიადაგზე იყო პიროვნების გაუცხოება როგორც ოჯახის წევრებთან, ასევე საზოგადოებაში, ახლა ეს თემა კიდევ უფრო გამძაფრებულია. ვერც მაშინ და ვერც ახლა ვერ ხდება ადამიანის ინტეგრაცია საზოგადოებაში. ეს პრობლემა, სამწუხაროდ, დღესაც არის. არსებობენ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებასთან ურთიერთობას ვერ ამყარებენ. არ ვიცი, მათ რა დავუძახო, მარტოსული თუ სხვა რამ. დღეს ეს მომენტი გაცილებით გამძაფრებულია. ეს პიესა დღეს უფრო ჟღერადია. ნიჭიერ ნაწარმოებებში ყველაფერია გათვლილი. ვერ გეტყვით, რომ შადიმანმა იფიქრა, ასეთი დრო დადგებაო, მაგრამ ალბათ ადამიანში ქვეცნობიერი ინტუიცია არსებობს. ხომ ამბობენ, გენიოსები უსწრებენ დროსო. არ მინდა, შადიმანი კლასიკოსებს შევადარო, მაგრამ შექსპირი, გოეთე დროს ნამდვილად უსწრებდნენ – სულ აქტუალურია „ჰამლეტი“, „ოტელო“. თითქოს რა მარტივია „ოტელო“, მაგრამ ამ დროს რა რთულია. დღევანდელი დღისთვის შადიმანის ეს პიესა ზედგამოჭრილია. სხვათა შორის, ჩემმა ძმაკაცმა უთხრა თავის შვილს – მიყვარხარ, მაგრამ არ მომწონხარო. ნახეთ, რა საოცარი და ზუსტი ნათქვამია. რომელ მამას არ უყვარს თავისი შვილი, მაგრამ იმ მომენტში მან მართალი თქვა. მეც არ მომწონს ხანდახან ჩემი შვილები.

***– შვილებს თქვენც ასე ეუბნებით?***

– თუ მათი რაღაც საქციელი არ მომწონებია, მითქვამს, როგორც შვილი, მიყვარხარ, მაგრამ არ მომწონხარ, იმიტომ რომ საქციელი არ მომეწონა შენი-მეთქი. იმიტომ კი არა, რომ ჩემი შვილები არიან, მათ რაიმეს მითითება ნამდვილად არ სჭირდებათ. თუმცა ზოგადად ყველა ოჯახში არის უთანხმოების, ერთმანეთთან შეუგუებლობის მომენტი. ეს ყველაფერი კი უქონლობიდან მოდის. დღეს ეს ყველაზე მეტად აქტუალურია.

***– რატომ?***

– იმიტომ რომ დღეს ადამიანებმა ერთმანეთთან ყველანაირი კონტაქტი დაკარგეს. თქვენ გგონიათ, ეს არის კონტაქტი, რაც ახლა ხდება? აბა გადით ქუჩაში და დააკვირდით, არავის არავინ არ უყვარს. რასაც გინდათ, იმას დააბრალეთ, მაგრამ ეს ფაქტია. ახალგაზრდა რომ ვიყავი, რომელიმე ცნობილ მსახიობს ქუჩაში დავხვდებოდი, მივდევდი და გამოვუცხდებდი, რომ მომწონდა და მიყვარდა. დღეს, რომც გიცნონ, რეაქცია ნულია.

***– თქვენ ამის პრობლემა გაქვთ?***

– ამას პირადად ჩემზე არ ვამბობ. მე იმას კი არ ვამბობ, რატომ არავის არ ვუყვარვარ-მეთქი, ზოგს ვუყვარვარ და ზოგს ვეზიზღები, ეს ბუნებრივია. ზოგადად არის ასე. დაიკარგა სიყვარული. სულ რომ რამაზ ჩხიკვაძე აააყენოთ საფლავიდან, იმასაც არავინ გაეკიდება ქუჩაში.

***– ეს ყველაფერი დრომ მოიტანა?***

– მესმის, რომ ეს შეკითხვა მარადიულია, მაგრამ რას ნიშნავს „დრომ მოიტანა“? დრომ შეიძლება მოიტანოს რაღაც ცვლილება, მაგრამ რაღა უარესობისკენ უნდა მოიტანოს? დრომ შეიძლება გადაასხვაფეროს ჩვენი შეხედულება, რომ, ვთქვათ, ის ქალი, რომელიც წლების წინ ლამაზი გვეჩვენებოდა, აღარ მოგვეჩვენოს ლამაზად. ეს სულ სხვა რამეა, ასეთი რამ მესმის, მაგრამ სულ ცუდისკენ სწრაფვა დროს ნამდვილად არ მოუტანია. მე აფხაზეთიდან ვარ, სოხუმელი და ჩემი ძმაკაცი მეუბნებოდა, ახლა სულაც არ მინდა აფხაზეთში ჩასვლა, იმიტომ რომ იქ ის სოხუმი აღარ არისო. ახლა სხვა აფხაზეთი იქნება, სხვა ურთიერთობები იქნება და ჩვენი მენტალიტეტი აღარ ჩაჯდება მათსაში. ეს დრომ მოიტანა. დრომ მოიტანა ისიც, რომ სკოლაში მოსწავლეები მასწავლებლებს უშვებენ და აჭერინებენ. ჩვენ კი პედაგოგი გვყავდა გენიალური ქალი, გეოგრაფიის მასწავლებელი თამარ ოდიშარია, რომელიც წინასწარ თავში წაგვართყამდა საჩვენებელ ჯოხს, იმიტომ გირტყამთ, რომ წინასწარ ვიზღვევ თავს, მერე არაფერი დააშავოთო.

***– ის დრო ჯობდა?***

– ჯობდა ნამდვილად და გეტყვით, რატომაც. ნამდვილად არ ვარ ადამ და კუკუს დროინდელი, მაგრამ მაშინ სხვა ურთიერთობა, სხვა სიყვარული, სხვა გაგება იყო. ამას წინათ შემხვდა ჩემი თამარა ოდიშარია და მითხრა, აი, ამდენი რომ არ მერახუნებინა შენს უტვინო თავში ის ჯოხი, ახლა კაცი არ იქნებოდიო. ეს იყო წმინდა დედაშვილური ურთიერთობა და არა სიბოროტით ჩარტყმული ჯოხი. მოკრძალებულად გეტყვით, ჩემს თაობაში არავისზე ნაკლები არ ვარ ჩემი კაცობით, ჩემი წესიერებით, ჩემი გაგებით, ჩემი მოკრძალებული პატარა ნიჭით და მონაცემებით.

***– კიდევ რა არ მოგწონთ?***

– ბევრი რამ არც მაშინ ვარგოდა და არც ახლა ვარგა. მთავარია, ბავშვი რობოტად არ აქციო და სულიერება არ გამოაცალო. ბავშვის ზომბირება დაუშვებელია. ბავშვი უნდა მიუშვა იქით, რისი ინტერესიც აქვს. ჩემს შვილიშვილს არაფერს ვუთითებ.

***– დემოკრატი ბაბუა ხართ?***

– მაგარი დემოკრატი ვარ. მე და ჩემი შვილიშვილი სულ ვლაპარაკობთ. ეს ძალიან რთული თემაა და, ამავე დროს, ძალიან ადვილიც. თავის დროზე მეც ვასწავლიდი სკოლაში.

***– რას ასწავლიდით?***

– მსახიობის ხელოვნებას. ბევრი ბავშვი მყავდა.

***– რატომ დაანებეთ თავი?***

– იმიტომ რომ არ მცალია, ხუთ თეატრში ვმუშაობ. სულ იქ უნდა ვყოფილიყავი, რაც ვერ შევძელი.

***– ბატონო ნუგზარ, სცენაზე გასვლის წინ ნერვიულობთ?***

– ამდენწლიანი გამოცდილების მიუხედავად, სულ ვღელავ და უკვე ნერვები მეშლება, ჩემს თავს ვეტყვი ხოლმე, რა გაღელვებს, შე უპატრონო, ტექსტი იცი, თუკი შეგეშალა, ილაპარაკე შენი სიტყვებით, უცებ არ მიხვდეს მაყურებელი-მეთქი, მაგრამ მაინც საოცრად მეშინია. მშიშარა ვარ ძალიან. ერთხელ სპექტაკლი გვქონდა და ერთი ახალგაზრდა მსახიობი მედგა გვერდით. რომ დამინახა, ასეთ დღეში ვიყავი, მომიბრუნდა და მითხრა, თქვენც ღელავთო? ვუთხარი, კი-მეთქი, აი, მე კიდევ არაო. რა უნდა ახლა, გავალ და ვითამაშებო. ეს უკვე სითავხედეა და არა სითამამე. მთავარია, ადამიანმა სითამამე და სითავხედე ერთმანეთში არ აურიოს. ის მსახიობი ისე გაუშინაურდა მაყურებელს, რაც ჩემთვის შეუძლებელია.

***– მაყურებელს თქვენ არ უშინაურდებით?***

– არა. სულ მერიდება, არასოდეს ვიყურებდი პარტერში. სულ ვფიქრობ, რამე რომ არ მოეწონოთ, ტექსტი არ დამავიწყდეს-მეთქი. დარბაზს არასოდეს ვუყურებ.

***– როცა თქვენები სხედან პარტერში?***

– მაინც ვერ ვხედავ. ახმეტელის თეატრს პატარა დარბაზი აქვს და შეიძლება კონტურები გამოვკვეთო. ჩემთვის სცენა ჩემი სამყაროა და პარტერი – მაყურებლის. ამ დროს სითავხედე არაფრით არ შეიძლება. როგორმე ისე უნდა მიიტანო შენი სათქმელი მაყურებელთან, რომ არ გათავხედდე, ეს ლამაზად, ესთეტიკურად უნდა მოხდეს.

***– როგორია თქვენი დათიკო?***

– ხანდახან სახლშიც მეტყვიან ხოლმე, აბა, დათიკო, დათიკო, გეყოფა ახლაო. ჩემი გმირი ვერ ახერხებს საზოგადოებაში ინტერგაციას და უარესი – თავის ოჯახის წევრებთან ინტერგაციას. ამ სპექტაკლში არ არის მარტო ყველის და პურის არქონის თემა. აქ სათქმელი ის არის, რომ ადამიანი ვერ შედგა, როგორც პიროვნება.

***– დღეს თუ არიან საქართველოში დათიკოები?***

– საქართველო დათიკოებით არის გატენილი. ნუთუ ვერავინ ამჩნევს, რომ დღეს ცხოვრება ჭირს. აქ არ არის საუბარი მარტო ლუკმა-პურზე, ადამიანების სულიერებაზეა ლაპარაკი. ადამიანებს ერთმანეთის ნდობა არ აქვთ, მომავლის იმედი არ აქვთ. ეს საშინელებაა. ეს პიესა, რაოდენ საწყენიც არ უნდა იყოს ვინმესთვის, ზუსტად დღევანდელობაზეა. დათიკო არ ვარ მე? აბა რა ვარ?! და იცით კიდევ რამდენია ჩემნაირი?!

***– ახმეტელის თეატრი 30 წლისაა. თქვენ მისი ერთ-ერთი დამაარსებელი ხართ. რა შეიცვალა თეატრში?***

– ახმეტელის თეატრი რეალურად ჩვენ 30 წლით ადრე რამდენიმე კაცმა დავაარსეთ. აქ არაფერი არ იყო. „კერასინკაზე“ ვთბებოდით, მერე გამოვდიოდით სცენაზე და ვთამაშობდით. ჩვენ სულ მოვდივართ ჯახირით. ერთი პრობლემა გვაქვს – ჩვენ ვართ გარეუბანში. აქაურ მცხოვრებლებს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, გადასარევი ხალხია, მაგრამ მაყურებელი უფრო ქალაქიდან მოდის, ვიდრე თვითონ გლდანიდან.

***– ეს რისი ბრალია?***

– ეს უფრო მენეჯმენტის ბრალი მგონია. თუ ვიღაცაზე უკეთესი არა, ახმეტელის თეატრი ნამდვილად არავისზე უარესი არ არის. ცუდი თეატრი რომ იყოს, ამ თეატრის მსახიობებს გადაღებებზე არ დაგვიძახებდნენ, სერიალებში არ დაგვიძახებდნენ, სხვა თეატრებში არ მიგვიწვევდნენ. ე.ი. ამ თეატრში პოტენციალი არის. ზოგს თავისი თავი უნდოდა მარტო ამ თეატრში, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელებზე ვსაუბრობ, თორემ მსახიობები აქ დღე და ღამე თავდაყირა ვდგავართ და ვმუშაობთ. არ მინდა, მმართველთა სახელები და გვარები დავასახელო, თვითონაც კარგად მიხვდებიან, ვისზე ვსაუბრობ. მაყურებელი რომ არ დადის ახმეტელის თეატრში, ეს უფრო მენეჯმენტის ბრალი მგონია. ავად თუ კარგად გავიარეთ ეს ეტაპი და დღემდე მოვედით. აქ ჩვენ გვქონია კარგი სპექტაკლებიც, საშუალო დონისაც, დაბალი დონის სპექტაკლებიც გვქონია. ეს ბუნებრივია, ყოველთვის კარგი სპექტაკლები ვერ გექნება რეპერტუარში, მაგრამ ის კი არის შესაძლებელი, რომ სპექტაკლების უმეტესობა იყოს კარგი. მაინც ჩემს აზრზე ვრჩები და მიმაჩნია, თუ მაინც მენეჯმენტი იქნება ძლიერი, ამ თეატრში მაყურებელი იქნება.

***– კიდევ რისი დეფიციტია ახმეტელის თეატრში?***

– კარგი სპექტაკლების დასადგმელად კარგი რეჟისორების მოწვევაა საჭირო. ეს აუცილებელია. თუკი არ უნდათ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი, კარგით, მაგრამ მაშინ კეთილი ინებონ და კარგი რეჟისორები მოიწვიონ.

***– ბევრია კარგი რეჟისორი?***

– რა თქმა უნდა, კარგი რეჟისორების მეტი რა არის. თეატრმა უნდა გაიჭირვოს, მოიწვიოს კარგი რეჟისორი და კარგადაც გადაუხადოს. აქ იმან კი არ უნდა დადგას სპექტაკლი, ვისაც ხოში ექნება ან დარეკავს და ჩააწყობს, არამედ იმან, ვინც მართლა კარგი რეჟისორია. ჩვენს თეატრში ნამდვილად არის იმის ძალა, რომ კარგი სპექტაკლი დაიდგას. ჩვენ გვქონდა ისეთი ძლიერი სპექტაკლები, რომ გარეთ პოლიცია იდგა. თეატრი არის დრამატული ხელოვნება, ჭკუის, დაფიქრების, ინტელექტის ხელოვნება. თეატრი არ არის შოუ. დამიჯერეთ, შეიძლება თეატრში ხალხის მოზიდვა ყოველგვარი შოუს, სიმღერებისა და ცეკვების გარეშე. კომერციულად გათვლილი სპექტაკლი – არასწორი გამოთქმაა. კომერციულად გათვლილი კი არა, კარგად გათვლილი სპექტაკლი უნდა იყოს.

***– თქვენ რატომ თქვით უარი ამ თეატრის მმართველობაზე?***

– მაშინ პროფესია უნდა დავკარგო, ეს ერთი. მეორეც, მმართველმა ვიღაც-ვიღაცას უნდა აწყენინოს. ამას მოვერიდე, ვიღაცას ვუყვარვარ, ვუყვარდი და არ მინდა, მერე მომიბრუნდეს და დედა მაგინოს. თეატრს ნამდვილად სჭირდება გადახალისება, ახალი სისხლი, მაგრამ ახალი სისხლი ისე კი არ უნდა მიიღოს თეატრმა, რომ ვისაც უნდა სცენაზე თამაში, ყველას კარი გაუღოს. სერიოზული შერჩევაა საჭირო. ამაში კი პროფესიონალები უნდა ჩაერთონ. ვისაც გინდა, იმის თეატრში მიღება არ შეიძლება. საერთოდ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თეატრში ინტრიგებს უნიჭოები ქმნიან. ამიტომ აქ მისაღები მსახიობი ლუპით კარგად უნდა დაათვალიეროო. თეატრში ახალბედებს კი არა, მე მიყურებენ ლუპით და რატომ არ შეიძლება, ახალგაზრდას შევხედოთ ლუპით? ის უნდა მოვიდეს და გააგრძელოს ამ თეატრში მოღვაწეობა. ღმერთმა დაიფაროს მაყურებელი, მთელი ცხოვრება ნუგზარ ყურაშვილს უყუროს. თეატრში მაყურებელი მოდის ახალგაზრდების საყურებლად, ვიღაცას მსახიობი გოგო მოსწონს, ვიღაცას – მსახიობი ბიჭი. ჩვენი პროფესია ხომ ვიზუალურია.

***– ბატონო ნუგზარ, რატომ არ წახვედით ე.წ. პრესტიჟულ თეატრებში?***

– ნამდვილად მქონდა მოწვევა, მაგრამ, სულ რომ ჩამომკიდონ, ამ თეატრიდან ვერ წავალ. სიმართლეს ვიტყვი – 700-ჯერ შემეძლო რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრში თავისუფლად მუშაობა, მაგრამ ეს არ გავაკეთე.

***– უარი რატომ თქვით?***

– მახინჯი შვილი რომ გყავს და გინდა, ფეხზე დააყენო, ასე ვარ ახმეტელის თეატრის მიმართ. ეს ჩემი შვილივით არის. მინდა, რომ უკეთესი გახდეს და ამიტომ ვარ აქ. თან ესეც თეატრია და მშვენივრად ვმუშაობ. თეატრი ყველგან თეატრია, მთავარია, კარგი სპექტაკლები იდგმებოდეს. ერთ რამეს გეტყვით – იცით, რამდენ ფილმში ვარ გადაღებული? ძალიან ბევრში. რუსთაველის თეატრში კი არიან ჩემი თაობის მსახიობები, რომლებიც საერთოდ არ გაჰკარებიან კინოს. თუ საქმის გაკეთება გინდა, ყველგან ყველაფერი გამოგივა.

***– თეატრი ვერასოდეს გაგხდით პოპულარულს ისე, როგორც ტელევიზია. თქვენ გაქვთ ეს პრობლემა?***

– ეს სამწუხაროა, თუმცა, ლოგიკურიც არის. თეატრს ბევრი მაყურებელი არასოდეს ჰყოლია. ტელევიზიით უფრო პოპულარული ხდები, თორემ რეალურად დღეს კინოშიც ცოტა მაყურებელი დადის. ტელევიზიით კი წამიერად ხდები პოპულარული და ერთი გამოჩენაც საკმარისია, რომ ყველამ გიცნოს.

***– გამოდის, ტელევიზიამ შეჭამა თეატრი და კინო?***

– არა და ვერც შეჭამს. როგორ შეიძლება, ტელევიზიამ შეჭამოს თეატრი?! თეატრი სულიერ ფასეულობებზეა აგებული.

***– ბატონო ნუგზარ, როლებს იწუნებთ?***

– როლების დაწუნება არ ვიცი. ერთხელ კინორეჟისორმა მითხრა, თეატრალურად არ ითამაშოთო. ეს შეურაცხყოფად მივიღე. თეატრი სულ სხვა ხელოვნებაა, კინო – სულ სხვა. სერგო ზაქარიაძე თეატრალურად თამაშობდა კინოში, მაგრამ ანგრევდა იქაურობას. თამაში არსებობს ორგვარი – კარგი ან ცუდი, თეატრალური და კინოური თამაში მე არ გამიგია. რასაც „ნაიგრიშებს“ ეძახიან, მომატებულ ემოციას, ეს კინოს არ სჭირდება. თეატრში ეს აუცილებელია, რომ მომატებული მგრძნობელობა მაყურებელზე გადავიდეს. კინოში კი ძალიან ახლოს ხარ კამერასთან და ზედმეტი ემოციები საჭირო არ არის. არსებობს ყალბი არტისტი და არსებობს ნაღდი არტისტი. არანაირი თამაში არ მჭირდება, მთავარია, გულში გავივლო და ვიგრძნო, თორემ, როგორც კი დავიწყებ თამაშს, ის უკვე ყალბია. ამაში დიდი ხნის წინ დავრწმუნდი. თამაშზე თუ მიდგა საქმე, ყველა გაიკეთებს პარიკს, მიიწებებს ულვაშს და ითამაშებს. ჩემთვის მთავარი ის კი არ არის, ოიდიპოსს როგორ დავემსგავსები, არამედ, მაყურებელმა უნდა თქვას, ნახე, ნუგზარი რა განცდებშიაო. ამ შემთხვევაში ნუგზარის განცდებია საინტერესო და არა ოიდიპოსის. ზუსტად ვიცი, ოიდიპოსი ვერასოდეს გავხდები. ვერ ჩავჯდები მასში. ერთხელ ნუკრი ქანთარიამ დადგა სპექტაკლი, რომელშიც დემეტრე მეფეს ვთამაშობდი. რეჟისორმა მითხრა, დემეტრეს ვერასოდეს ვერავინ ითამაშებს და ვერც დაემსგავსება, მთავარია, მისი გრძნობები გაითავისოო. მთავარია, მაყურებელმა დაგიჯეროს, თორემ ვიზუალი მართლა არაფერია.

TBC BANK

# „ლედ ზეპელინმა“ 12 წელი იარსება



„ლედ ზეპელინი“ – ინგლისური როკ ჯგუფი, 1968 წელს დაარსდა. ჯგუფის წევრები იყვნენ ჯიმი პეიჯი, რობერტ პლანტი, ჯონ ბონემი და ჯონ პოლ ჯონსი. „ლედ ზეპელინი“, „დიფ ფარფლსა“ და „ბლექ საბათთან“ ერთად, მძიმე როკის ერთ-ერთ პიონერად ითვლება და დიდი წვლილი მიუძღვის მუსიკის ამ ჟანრის განვითარებაში.

1980 წელს „ლედ ზეპელინი“ ჯონ ბონემის გარდაცვალების გამო დაიშალა, თუმცა, ის კვლავ რჩება ერთ-ერთ საუკეთესო და ლეგენდარულ ჯგუფად როკის სამყაროში. ეს განაპირობა ჯგუფის კომერციულმა წარმატებამ, მიღწევებმა და მისმა გავლენამ სხვა შემსრულებლებზე. მთელ მსოფლიოში სულ გაყიდულია „ლედ ზეპელინის“ 300 მილიონზე მეტი ალბომი, მათ შორის აშშ-ში – 109.5 მილიონი. „ლედ ზეპელინი“ ერთადერთი ჯგუფია, რომლის ყველა ალბომი აშშ-ის საუკეთესო მუსიკალურ ათეულში მოხვდა, ხოლო საკაბელო ტელეკომპანია ვჰ1-ის 100 საუკეთესო როკ-შემსრულებელთა ჩამონათვალში „ლედ ზეპელინი“ პირველ ადგილზეა.

2007 წლის 10 დეკემბერს „ლედ ზეპელინის“ დარჩენილმა სამეულმა ჯონ ბონემის შვილთან, ჯეისონ ბონემთან ერთად პატივი მიაგო კომპანია „ატლანტიკ რეკორდისის“ დამაარსებელ აჰმეტ ერტეგუნის ხსოვნას და გამართა სპეციალური კონცერტი, რომელზეც 16 სიმღერა შეასრულა.

ჯგუფის ჩამოყალიბება პეიჯმა და დრეიამ დაიწყეს. პირველ ვოკალისტად ტერი რიდი მოიაზრებოდა, მაგრამ მოულოდნელად რობერტ პლანტის კანდიდატურა გამოჩნდა. ის პეიჯისათვის უკვე ცნობილი ბირმინგემელი ვოკალისტი იყო. პლანტი უმალ დათანხმდა შემოთავაზებაზე და, თავის მხრივ, პეიჯს მუსიკოსი ჯონ ბონემი ურჩია, რომელიც დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდა. პროექტიდან ამოვარდა დრეია, რომელიც შემდეგში ფოტოგრაფიით დაინტერესდა. მოგვიანებით სწორედ მან გადაიღო სურათი „ლედ ზეპელინის“ სადებიუტო ალბომის ყდისათვის. ჯონ პოლ ჯონსი პეიჯს თავისი მეუღლის რჩევით დაუკავშირდა და ჯგუფში ბას-გიტარისტის ვაკანტური ადგილი დაიკავა.

იმავე წელსვე ჯგუფმა სკანდინავიური ტური მოაწყო, ხოლო ნოემბერში კონტრაქტი გაფორმდა კომპანია „ატლანტიკ რეკორდსთან“.

## პირველი, მეორე და მესამე ალბომი

ჯგუფის ეპოქალური სადებიუტო ალბომი 1969 წლის 12 იანვარს, მათი პირველი ტურის დასრულების შემდეგ გამოიცა. მასში ერთმანეთს კარგად ერწყმის ბლუზი, ფოლკლორული მოტივები და აღმოსავლური ჰანგები. დისკი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მსუბუქი მეტალის ჩამოყალიბებისათვის. ალბომის პროდიუსირებას ყდასთან ერთად 1.750 გირვანქა სტერლინგი დასჭირდა. 1975 წლისათვის ალბომის გაყიდული ასლების რაოდენობა 7.000.000-ს გასცდა.

არსებობის პირველი წლის მანძილზე „ლედ ზეპელინმა“ აშშ-სა და ბრიტანეთში 4-4 ტურნე გამართა. დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, გამონახა მეორე ალბომის ჩაწერის დრო, რომელსაც გამოსვლისთანავე უფრო დიდი წარმატება ხვდა წილად, ვიდრე პირველს.

„ლედ ზეპელინი 2“-ის გამოსვლის შემდეგ ამერიკაში კიდევ რამდენიმე ტური მოეწყო. ჯგუფი უფრო კლუბებში უკრავდა, ვიდრე დიდ დარბაზებსა და სტადიონებზე. კონცერტი სამ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მასზე იმპროვიზაციით სრულდებოდა ჯგუფის იმ დროისათვის ცნობილი სიმღერები.

მესამე ალბომის დასაწერად პეიჯი და პლანტი უელსში მდებარე ერთ-ერთ კოტეჯში განმარტოვდნენ. შედეგად უფრო აკუსტიკური ჟღერადობა მიიღეს. ხალხური და კელტური მუსიკის გავლენის გამო ალბომმა ჯგუფი განვითარების კიდევ ერთ ეტაპზე გადაიყვანა.

ალბომის აკუსტიკურმა ჟღერადობამ ერთმანეთისგან განსხვავებული შეფასებები გამოიწვია. უამრავი მოყვარული გაკვირვებული იყო, რომ „ლედ ზეპელინმა“ პრინციპულად უარი თქვა პირველი ორი ალბომის ნახევრად ელექტრონულ ჟღერადობაზე. დროთა განმავლობაში მსმენელებმა ეს დისკი უფრო დადებითად მიიღეს.

## სკანდალური ჯგუფი (1971-1975)

„ლედ ზეპელინის“ არსებობის პირველი წლები 1971-1975 წლებში ჯგუფის წარმატებამ დაჩრდილა. ამ პერიოდშივე გამოიცა მათი საუკეთესო ალბომები. მათ იმიჯში გამოჩნდა ფერადი ტონები. მაგრამ ჯგუფი არა მხოლოდ მუსიკით, არამედ სცენის მიღმა მიმდინარე შეშლილი ცხოვრებით იყო ცნობილი. „ლედ ზეპელინი“ იმ პერიოდში საკუთარი თვითმფრინავით მოგზაურობდა. ჯგუფის წევრები ერთდროულად სასტუმროს რამდენიმე ნომერს ქირაობდნენ. ბევრი ჟურნალისტი თვალს ადევნებდა მათ ცხოვრებას, შემდეგ კი სტატიებს წერდა ჯგუფის მიერ მოწყობილ დებოშებზე. ბენდი ცნობილი იყო იმით, რომ ამტვრევდა სასტუმროში განლაგებულ ავეჯს და ტელევიზორებს ფანჯრებიდან ყრიდა. უფრო მეტიც – ერთ-ერთი ასეთი „ზეიმის“ დროს ჯონ ბონემი დაქირავებულ სართულზე მოტოციკლით დარბოდა.

## უკანასკნელი წლები (1976-1980)

1976 წლისათვის „ლედ ზეპელინი“ მსოფლიო მასშტაბით უფრო პოპულარული და ცნობილი იყო, გაყიდა უფრო მეტი ალბომი, ვიდრე სხვა ჯგუფებმა. მათი კონცერტები უკვე შეიცავდა თეატრალურ ელემენტებსა და განათების ახალ საშუალებებს. მიუხედავად დიდი წარმატებისა, ჯგუფის წევრების ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა უარყოფით მოვლენებს – 1977 წელს გარდაიცვალა რობერტ პლანტის შვილი, ჯიმი პეიჯი ჰეროინს ეტანებოდა, ხოლო 1980 წელს ჯონ ბონემის დაღუპვამ ყველაფერს წერტილი დაუსვა.

ერლს კორტის ტრიუმფალური კონცერტების შემდეგ ადგილი ჰქონდა დაუგეგმავ პაუზას. 1975 წლის აგვისტოში რობერტ პლანტი და მისი მეუღლე მორინი ავტოავარიაში მოხვდნენ. რობერტმა მუხლი მოიტეხა, ხოლო მორინი სერიოზულად დაშავდა, მაგრამ სისხლის გადასხმებით გადაარჩინეს. პლანტს არ შეეძლო ჯგუფთან მუშაობა და იმავე წლის აგვისტოსა და სექტემბერში ისვენებდა, შემდეგ კი ჯგუფი მალიბუში შეიკრიბა და მუსიკალური მასალის შექმნა დაიწყო შემდეგი ალბომისთვის, რომელმაც დღის შუქი 1976 წლის მარტში იხილა. ამ ალბომში „ლედ ზეპელინის“ სტილის მცირე ცვლილება იყო – უფრო მეტი იმპროვიზაცია გიტარაზე. მათ უარი თქვეს აკუსტიკურ ბალადებზე, რამაც მოყვარულების უკმაყოფილება გამოიწვია. ამავე პერიოდში ჯიმი პეიჯი აქტიურად ეტანებოდა ჰეროინს, თუმცა მაშინ ამას უარყოფდა.

## ფილმი

რობერტ პლანტის ტრავმამ ჯგუფს 1976 წელს სცენაზე დაბრუნებაში ხელი შეუშალა. მიუხედავად ამისა, უკვე დასრულებული იყო მუშაობა ფილმზე „სიმღერა იგივე რჩება“, ხოლო პარალელურად მზად იყო ალბომი ამ ფილმში შესრულებული სიმღერებით.



ფილმი 1973 წელს, მედისონ სკვერში ჩატარებული სამი კონცერტის მსვლელობისას გადაიღეს. 1976 წლის ოქტომბერში მისი პრემიერა შედგა, მაგრამ კრიტიკოსებმა და ფანებმა იგი საკმაოდ ცივად მიიღეს. განსაკუთრებით წარუმატებელი ფილმი ბრიტანეთში იყო. მიუხედავად რვაწლიანი წარმატებული მოღვაწეობისა, ჯგუფი ბევრმა მოყვარულმა დაივიწყა.

1977 წელს „ლედ ზეპელინმა“ აშშ-ში ახალი ტური დაიწყო, რომელიც არცთუ წარმატებული გამოდგა. საქმე ის არის, რომ სცენის მიღმა ბევრ პრობლემას ჰქონდა ადგილი. 3 ივნისს, ცუდი ამინდის გამო, ტამპას სტადიონის კონცერტი საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. განცხადება კონცერტის შეწყვეტაზე შეშლილმა მსმენელებმა უარყოფითად მიიღეს და სტადიონზე აურზაური დაიწყო, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანი დააპატიმრეს, ხოლო მსმენელების დიდი ნაწილი პოლიციასთან შეტაკებისას დაშავდა.

23 ივლისის კონცერტის შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა ჯონ ბონემი, ჯგუფის მხარდამჭერი კოლექტივი, მათ შორის, მენეჯერი პიტერ გრანტი და დაცვის კოორდინატორი ჯონ ბინდონი. მიზეზი პრომოუტერ ბილ გრეჰემის ჯგუფთან მომხდარი ჩხუბი იყო, რომელიც კონცერტი დროს ატყდა. ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა გრანტის შვილს გაარტყა. როდესაც გრანტმა ეს ამბავი შეიტყო, იგი თავად შევიდა ტრეილერში ბინდონთან და ჯონ ბონემთან ერთად და გრეჰემის პერსონალს გაუსწორდა.

მეორე დღეს ჩატარებული კონცერტი აშშ-ში ჯგუფის უკანასკნელი გამოსვლა იყო. კონცერტის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ პლანტის ხუთი წლის შვილი, კერაკი, კუჭის ვირუსით დაიღუპა. ტურის დარჩენილი კონცერტები გრაფიკიდან მოიხსნა.

1978 წლის დეკემბერში ჯგუფი კვლავ დაბრუნდა სტუდიაში. შედეგად გამოიცა ალბომი, რომელშიც კვლავ იყო ექსპერიმენტები ელექტრონულ მუსიკასთან დაკავშირებით. კრიტიკოსებმა კვლავაც დაიწუნეს დისკი, თუმცა ძველმა მოყვარულებმა დადებითად შეაფასეს იგი. ალბომი გამოსვლიდან უკვე მეორე კვირას მოხვდა აშშ-ისა და ბრიტანეთის რეიტინგების 1-ლ ადგილზე.

1979 წლის აგვისტოში, კოპენჰაგენის ორი შოუს შემდეგ, „ლედ ზეპელინი“ პირველი სტუმრის სახით გამოდიოდა ნებუორტის 1979 წლის ფესტივალზე. ამ ფესტივალზე მაყურებლის რაოდენობა 120.000 ადამიანს აღწევდა. ჯგუფი სრული სახით დაუბრუნდა მსმენელს. მიუხედავად ამისა, პლანტს ჯერ არ შეეძლო მოგზაურობა. უფრო მეტიც, მას სურდა „ლედ ზეპელინის“ დატოვება, მაგრამ პიტერ გრანტის თხოვნით დარჩა. მცირემასშტაბიანი ფორმალური ტური 1980 წელს მოეწყო. გერმანიის კონცერტის მსვლელობისას, მესამე სიმღერის შესრულების დროს ბონემი სცენიდან გადმოვარდა და ჰოსპიტალში მოხვდა. პრესაში გაჩნდა ვარაუდი, თითქოს ბონემი ზედმეტ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს ეტანება, მაგრამ ჯგუფის წევრები ამტკიცებდნენ, თითქოს იმ დღეს მან ზედმეტი საჭმელი მიირთვა.

## ტრაგიკული დასასრული

1980 წლის 24 სექტემბერს „ლედ ზეპელინის“ ტექნიკურმა ასისტენტმა რექს კინგმა ბონემი სტუდიაში წაიყვანა. იქ ჯგუფი რეპეტიციებს გადიოდა, რადგანაც წინ აშშ-ის ტური იყო – მათი პირველი ამერიკული ტური 1977 წლის შემდეგ. მგზავრობისას ბონემმა კინგს გაჩერება სთხოვა. რესტორანში შესულმა ბონემმა თექვსმეტი 400 მილილიტრიანი ჭიქა არაყი დალია და ხორცის დიდი ნაჭერი დააყოლა. ამ ყველაფრის შემდეგ მან კვლავაც განაგრძო საუზმის მირთმევა. სტუდიაში მისული ბონემი კვლავ სვამდა. გვიან საღამოს ყველამ პეიჯის სახლში, უინდზორში გადაინაცვლა. შუაღამისას ბონემს ჩაეძინა. იგი ასწიეს და საწოლში გადაიყვანეს. მეორე დილით ბენჯი ლეფევრმა და ჯონ პოლ ჯონსმა ის მკვდარი იპოვეს. ბონემი 32 წლის ასაკში დაიღუპა.

სიკვდილის მიზეზად ღებინების შედეგად წარმოქმნილი ასფიქსია დასახელდა. სხეულის გაკვეთისას ნარკოტიკული ნივთიერებები ბონემის სხეულში არ აღმოჩნდა. დაღუპვის მთავარი მიზეზი იყო ალკოჰოლიზმი, რომელიც მუსიკოსს ჯგუფის დაარსების დღიდან მოჰყვებოდა. 1980 წლის 10 ოქტომბერს მის სხეულს კრემაცია ჩაუტარდა.

გავრცელდა ჭორები, თითქოს მის მაგივრად ჯგუფს შეუერთდებიან კოუზი პაუელი, კერმინ ეპისი, ბერიმორ ბარლოუ, საიმონ კირკი ან ბევ ბევანი, მაგრამ დარჩენილმა სამმა წევრმა ოფიციალურად განაცხადა ჯგუფის დაშლის შესახებ. 1980 წლის 4 დეკემბერს მათ გამოსცეს ოფიციალური პრეს-რელიზი, რომელშიც ითქვა, რომ ბონემის გარეშე ჯგუფი არ იარსებებს.

– გვსურს ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი საყვარელი მეგობრის დაკარგვამ და ჩვენსა და მენეჯერს შორის არსებულმა უწყვეტმა ჰარმონიამ მიგვაღებინა გადაწყვეტილება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ ყველაფრის ისე გაგრძელება, როგორც ადრე იყო, – განაცხადეს ჯგუფის წევრებმა.

## შემდგომი წლები – 1980 წლიდან დღემდე

1982 წელს ჯგუფის დარჩენილმა წევრებმა „ლედ ზეპელინის“ სხვადასხვა სესიიდან დარჩენილი ჩანაწერები გამოსცეს.

1985 წლის 13 ივლისს პეიჯი, პლანტი და ჯონსი საქველმოქმედო კონცერტზე გამოვიდნენ. დასარტყამებზე დროებით უკრავდნენ ტონი ტომპსონი და ფილ კოლინზი. პეიჯის თქმით, გამოსვლა საკმაოდ ქაოტური იყო.

1988 წლის მაისში ჯგუფის სამი წევრის კიდევ ერთ გაერთიანებას ჰქონდა ადგილი. ეს იყო კონცერტი, რომელიც კომპანია „ატლანტიკ რეკორდსის“ დაარსების 40 წლისთავს მიეძღვნა. ამ კონცერტზე დასარტყამებზე ჯეისონ ბონემი, ჯონ ბონემის შვილი უკრავდა. ჩანაწერი შეფასდა, როგორც სუსტი, მით უმეტეს, რომ ჯიმი პეიჯი იმ დღეს საკმაოდ ცუდად უკრავდა.

1994 წელს პეიჯმა და პლანტმა აკუსტიკური კონცერტი ჩაწერეს. მასში გამოყენებულ იქნა აღმოსავლური ინსტრუმენტები.

1995 წლის 12 იანვარს „ლედ ზეპელინი“ აშშ-ის როკ ენ როლის დიდების დარბაზში შეიყვანეს. ისინი წარადგინეს ჯგუფ „აეროსმიტის“ მუსიკოსებმა, სტივ ტაილერმა და ჯო პერიმ. ცერემონიას ასევე ესწრებოდნენ ჯეისონ და ზო ბონემები.

1997 წლის 11 ნოემბერს გამოიცა „ლედ ზეპელინის“ ალბომი „ზეპელინი და ბი-ბი-სის სესია“. მასში შეტანილია ჯგუფის თითქმის ყველა ჩანაწერი, რომლებიც კომპანია ბი-ბი-სისთვის გაკეთდა.

1999 წლის 29 ნოემბერს გამოცხადდა, რომ „ლედ ზეპელინი“ მესამე ჯგუფია მუსიკის ისტორიაში, რომლის ალბომებსაც ბრილიანტის დისკების სტატუსი მიენიჭა.

2002 წლის ოქტომბერში ბრიტანულმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს პლანტი და ჯონ პოლ ჯონსი შერიგდნენ და ტურს გეგმავენ. მოგვიანებით პლანტმა და პეიჯმა ეს ინფორმაცია უარყვეს.

2003 წელს გამოიცა ჯგუფის სამმაგი საკონცერტო ალბომი და ვიდეო. ორივე გამოცემაში შეტანილია უნიკალური მასალა ჯგუფის არქივებიდან.

2005 წელს „ლედ ზეპელინმა“ გრემის სპეციალური ჯილდო მიიღო. 2006 წლის მაისში კი „ლედ ზეპელინმა“ და რუსმა დირიჟორმა ვალერი გერგიევმა მიიღეს პოლარული მუსიკის სპეციალური პრიზი, რომელიც მათ თავად შვედეთის მეფემ გადასცა. ცერემონიაზე ასევე იმყოფებოდა ბონემის ქალიშვილი.

2006 წლის ნოემბერში „ლედ ზეპელინი“ ბრიტანეთის მუსიკის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

2007 წლის 3 ნოემბერს ბრიტანულმა გაზეთმა „დეილი მირორმა“ განაცხადა, რომ მას ჯგუფის აქამდე ექვსი უცნობი სიმღერის საკუთარი ვებ-გვერდის საშუალებით გაშვების უფლება აქვს.

2007 წლის 12 სექტემბერს ჯგუფის პრომოუტერმა ჰარვი გოლდსმიტმა გამოაქვეყნა ოფიციალური პრეს-რელიზი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ლედ ზეპელინის“ დარჩენილი სამი წევრი ჯეისონ ბონემთან ერთად გამოვა აჰმეტ ერტეგუნისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო კონცერტზე. ბილეთები ამ კონცერტზე გათამაშდა სპეციალური ლატარიის მეშვეობით. მთელი შემოსავალი აჰმეტის სახელობის ფონდში გადაირიცხა. ვებ-გვერდი, რომელზეც თამაშდებოდა ბილეთები, ერთდროულად მრავალი ათასი მომხმარებლის ვიზიტის გამო გადაიტვირთა და გაითიშა. 20.000 ბილეთზე ერთი მილიონი მსურველი გამოჩნდა. ამასობაში პეიჯმა გაზარდა ჯგუფის მიმართ ინტერესი და აღნიშნა, რომ სავსებით შესაძლებელია, „ლედ ზეპელინმა“ დაიწყოს მუშაობა ახალ მასალაზე და არ გამორიცხა, რომ მოეწყოს მსოფლიო ტური.

თუმცა პლანტმა არ დაადასტურა, რომ მსოფლიო ტური ნამდვილად მოეწყობა, მან აღნიშნა, რომ ერთობლივი კონცერტები დროდადრო არც ისე ცუდი იქნებოდა. მაგრამ ჯერჯერობით მსგავსი არაფერი ისმის.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# მთავარი ძარღვი ლონდონშია, ლევანტეს წაქცევას ოსასუნა შეეცდება




## ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.10ევერტონი-მანჩესტერი | 4.2 | 3.6 | 1.83 |
| 29.10ჩელსი-არსენალი | 1.61 | 4.0 | 5.0 |
| 29.10უიგანი-ფულემი | 2.9 | 3.25 | 2.45 |
| 29.10სუონსი-ბოლტონი | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 29.10სანდერლენდი-ასტონვილა | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 29.10სიტი-ვულვზი | 1.18 | 7.0 | 15.0 |
| 29.10ნორვიჩი-ბლექბერნი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 29.10ვესტ ბრომვიჩი-ლივერპ. | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 30.10ტოტენჰემი-ქპრ | 1.4 | 4.75 | 7.5 |
| 31.10სტოკი-ნიუკასლი | 2.15 | 3.25 | 3.5 |

ევერტონი: ტრავმ–ჯეიმს მაკფადენი(?), ჯონ ჰეიტინგა(?), ვიქტორ ანიშები

მანჩესტერი: ***ტრავმ***–რაფაელი, დერონ გიბსონი

ჩელსი: ***ტრავმ***–რამირესი, ენრიკე ილარიო, მაიკლ ესიენი; დისკვ–ფერნანდო ტორესი

არსენალი: ***ტრავმ***–კირონ გიბსი, აბუ დიაბი; ბაქარი სანია, ჯეკ უილშირი

უიგანი: ***ტრავმ***–არავინ

ფულემი: ***ტრავმ***–ფილიპ სენდეროსი, ბრაიან რუისი, სიმონ დევისი

სუონსი: ***ტრავმ***–შტეფან დობი, სტივენ კოლკერი, კემი აუგუსტინი, ალან ტატე

ბოლტონი: ***ტრავმ***–მარკოს ალონსო, სტიუარტ ჰოლდენი, სემ რიკეტსი, ჩან იანგ ლი, შონ დევისი

სანდერლენდი: ***ტრავმ***–ფრეიზერ კემბელი, კრეიგ გორდონი; ***დისკვ***–ტიტუს ბრამბლი

ასტონ ვილა: ტრავმ–ჯერმენ ჯენასი

სიტი: ***ტრავმ***–ნაიჯელ დე იონგი

ვულვზი: ***ტრავმ***–სტივენ ფლეტჩერი, კევინ ფოლი, რონალდ ზუბარი

ნორვიჩი: ***ტრავმ***–ზაკ უაითბრაიდი, დანიელ აიალა, ელიოტ უორდი

ბლექბერნი: ***ტრავმ***–ვინსე გრელა, რაიან ნელსენი, მორტენ პედერსენი, მიჩელ სალგადო, დევიდ დანი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***–არავინ

ლივერპული: ***ტრავმ***–არავინ; ***დისკვ***–ლუკას ლეივა

ტოტენჰემი: ***ტრავმ***–ვერდან ჩორლუკა, ნიკო კრანჩარი, ლედლი კინგი, უილიამ გალასი, ტომ ჰიდელსტოუნი, მაიკლ დაუსონი

ქპრ: ***ტრავმ***–მეთიუ კონოლი(?), დ.ჯ.კემბელი, დენი გაბიდონი, კირონ დაიერი, რობ ჰულსი

სტოკი: ***ტრავმ***–დენი ჰიგინბოთამი, ჯერმეინ პენანტი, რიკარდო ფაულეერი, მამადუ სიდიბე

ნიუკასლი: ***ტრავმ***–ფაბიო კოლოჩინი, მაიკ უილიამსონი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 9 | 8 | 1 | 0 | 33:7 | 25 |
| 2.მანჩესტერი | 9 | 6 | 2 | 1 | 26:12 | 20 |
| 3.ჩელსი | 9 | 6 | 1 | 2 | 20:10 | 19 |
| 4.ნიუკასლი | 9 | 5 | 4 | 0 | 12:6 | 19 |
| 5.ტოტენჰემი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:13 | 16 |
| 6.ლივერპული | 9 | 4 | 3 | 2 | 12:10 | 15 |
| 7.არსენალი | 9 | 4 | 1 | 4 | 15:18 | 13 |
| 8.ნორვიჩი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:12 | 12 |
| 9.სკოტი | 9 | 3 | 3 | 3 | 7:11 | 12 |
| 10.ქპრ | 9 | 3 | 3 | 3 | 7:14 | 12 |
| 11.ას.ვილა | 9 | 2 | 5 | 2 | 11:11 | 11 |
| 12.ვ.ბროვიჩი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:11 | 11 |
| 13.ევერტონი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:12 | 10 |
| 14.სანდერლ. | 9 | 2 | 3 | 4 | 12:10 | 9 |
| 15.სუონსი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:14 | 9 |
| 16.ვულვზი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:14 | 8 |
| 17.ფულემი | 9 | 1 | 4 | 4 | 11:12 | 7 |
| 18.ბოლტონი | 9 | 2 | 0 | 7 | 12:24 | 6 |
| 19.უიგანი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:15 | 5 |
| 20.ბლექბერნი | 9 | 1 | 2 | 6 | 10:20 | 5 |

## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.10ვალენსია-ხეტაფე | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 29.10ვილიარეალი-რაიო | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 29.10ბარსელონა-მალიორკა | 1.06 | 11.0 | 34.0 |
| 29.10სოსიედადი-რეალი | 17.0 | 7.0 | 1.17 |
| 30.10ხიხონი-ბილბაო | 2.5 | 3.3 | 2.75 |
| 30.10ოსასუნა-ლევანტე | 2.37 | 3.3 | 2.9 |
| 30.10რასინგი-ბეტისი | 2.5 | 3.25 | 2.8 |
| 30.10ატლეტიკო-სარაგოსა | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 30.10მალაგა-ესპანიოლი | 1.67 | 3.75 | 5.0 |
| 31.10სევილია-გრანადა | 1.44 | 4.4 | 7.0 |

ვალენსია: ***ტრავმ***–სერხიო კანალესი, ჰედვიგ მადურო; დისკვ–ადილ რამი

ხეტაფე: ***ტრავმ***–აბდელაზიზ ბარადა, სეპო მასილელა, ოსკარ უსტარი, ხაიმე გავილანი

ვილიარეალი: ***ტრავმ***–კარლოს მარჩენა, ნილმარი, ანგელ ლოპესი

რაიო: ***ტრავმ***–რაულ ბრავო, ხავი ფუეგო; ***დისკვ***–ხოსე მანუელ კასადო

ბარსელონა: ***ტრავმ***–კარლეს პუიოლი, ხერარდ პიკე, იბრაჰიმ აფელაი, ალექსის სანჩისი

მალიორკა: ***ტრავმ***–ხოსე ლუის მარტი, ჯანი ზუიველონი, კევინ ლაკრუსი, პაბლო კასერესი, ხისე ნუნიესი; ***დისკვ***–ჩიჩო

სოსიედადი: ***ტრავმ***–ილარამენდი

რეალი: ***ტრავმ***–ესტებან გრანერო, ლასანა დიარა, რაულ ალბიოლი, რიკარდო კარვალიუ, ნური შაჰინი

ხიხონი: ***ტრავმ***–ნაჩო ნოვო, გონსალეს კარმელო

ბილბაო: ***ტრავმ***–კარლოს გურპეგი, ინიგო პერესი, იგორ მარტინესი, ხავიერ კასტილიო

ოსასუნა: ***ტრავმ***–როვერსიო, როლანდ ლამა, იონ ეჩაიდე, მასუდ შოჯაეი

ლევანტე: ***ტრავმ***–რაფა ხორდა

რასინგი: ***ტრავმ***–ედუ ბედია, კრისტიან სტუანი, გონსალო გოლსა, ლაუტარო აკოსტა, კენედი ბაქიროღლუ

ბეტისი: ***ტრავმ***–ბენუა, მარიო, ვადილო, ნელსონი

ატლეტიკო: ***ტრავმ***–ედუარდო სალვიო(?), ფრანსისკო ხუანფრანი, დიეგო კოსტა

სარაგოსა: ***ტრავმ***–აბრაჰამ მინერო, ადამ პინტერი, ნობრეგა ბრაულიო

მალაგა: ***ტრავმ***–რონდონი, კრის სტადსგაარდი, რეჩიო, ჟულიო ბაპტისტა

ესპანიოლი: ტრ***ტრავმ***ავმ–ფელიპე მაციონი, ხუან ალბინი; დისკვ–ხავი მარკესი

სევილია: ***ტრავმ***–დიეგო პეროტი; დისკვ–ფერნანდო ნავარი, ფრედერიკ კანუტე

გრანადა: ***ტრავმ***–ჰასან იებდა, რიჩარდ ბოატენგი, კარლოს მარტინსი, ოდიონ იგალიო, ხოსე ხუანი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლევანტე | 9 | 7 | 2 | 0 | 17:5 | 23 |
| 2.რეალი | 9 | 7 | 1 | 1 | 31:6 | 22 |
| 3.ბარსელონა | 9 | 6 | 3 | 0 | 27:4 | 21 |
| 4.ვალენსია | 9 | 5 | 3 | 1 | 12:8 | 18 |
| 5.სევილია | 9 | 4 | 5 | 0 | 10:6 | 17 |
| 6.მალაგა | 9 | 4 | 1 | 4 | 10:13 | 13 |
| 7.ბილბაო | 9 | 3 | 3 | 3 | 14:11 | 12 |
| 8.რაიო | 9 | 3 | 3 | 3 | 10:11 | 12 |
| 9.ბეტისი | 8 | 4 | 0 | 4 | 10:13 | 12 |
| 10.ესპანიოლი | 8 | 4 | 0 | 4 | 7:11 | 12 |
| 11.ოსასუნა | 9 | 2 | 5 | 2 | 11:17 | 11 |
| 12.ატლეტიკო | 9 | 2 | 4 | 3 | 9:10 | 10 |
| 13.მალიორკა | 9 | 2 | 3 | 4 | 8:11 | 9 |
| 14.სარაგოსა | 9 | 2 | 3 | 4 | 9:17 | 9 |
| 15.სოსიედადი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:13 | 8 |
| 16.ხეტაფე | 9 | 1 | 4 | 4 | 8:12 | 7 |
| 17.ხიხონი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:13 | 7 |
| 18.ვილიარეალი | 9 | 1 | 4 | 4 | 7:17 | 7 |
| 19.რასინგი | 9 | 0 | 5 | 4 | 6:15 | 5 |
| 20.გრანადა | 9 | 1 | 2 | 6 | 2:11 | 5 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.10კატანია-ნაპოლი | 2.9 | 3.2 | 2.45 |
| 29.10რომა-მილანი | 2.7 | 3.2 | 2.62 |
| 29.10ინტერი-იუვენტუსი | 2.5 | 3.1 | 2.9 |
| 30.10სიენა-კიევო | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 30.10ბოლონია-ატალანატა | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 30.10პარმა-ჩეზენა | 1.8 | 3.25 | 5.0 |
| 30.10ფიორენტინა-ჯენოა | 1.95 | 3.3 | 4.0 |
| 30.10ლეჩე-ნოვარა | 2.25 | 3.25 | 3.2 |
| 30.10უდინეზე-პალერმო | 1.73 | 3.5 | 5.0 |
| 30.10კალიარი-ლაციო | 2.5 | 3.2 | 2.87 |

კატანია: ***ტრავმ***–ალეხანდრო გომესი, ჩირო კაპუანო, პაბლო ლედესმა, დავიდ სუაზო, პაბლო ალვარესი, ალესანდრო პოტენცა, მარკო ბიაჯინტი, კრისტიან ლიამა

ნაპოლი: ***ტრავმ***–ვალტერ გარგანო, გორან პანდევი, მარკო დონადელი, მიგელ ბრიტოსი

რომა: ***ტრავმ***–მირალემ პიანიჩი, დავიდ პიზარო, ბოგდან ლობონტი, ალეანდრო როსი, სისინიო, ფრანჩესკო ტოტი

მილანი: ***ტრავმ***–მარკო ამელია, ტიაგო სილვა, კლარენს ზეედორფი, პატუ, ჯენარო გატუზო, მატეო ფლამინი

ინტერი: ***ტრავმ***–ვალტერ სამუელი, დიეგო ფორლანი, ანდრეა რანოკია, ანდრეა პოლი, ემილიანო ვივიანო

იუვენტუსი: ***ტრავმ***–არტურო ვიდალი, ჯანლუიჯი ბუფონი

სიენა: ***ტრავმ***–ჯანლუკა პეგოლო, ჯენარო ტროიანელო, გაბრიელე ანგელა

კიევო: ***ტრავმ***–ჯენარო სარდო, ლუჩიანო

ბოლონია: ***ტრავმ***–ნიკოლა ჩებურინი, ალესანდრო დიამანტი, მიქაელ ანტონსონი, დიეგო პერესი, ანგელ კრესპო, ალვარო არმადა

ატალანატა: ***ტრავმ***–ტომას მანფრედინი, ადრიანო პინტუ, კრისტიან დონი

პარმა: ***ტრავმ***–ჯონათან ბიაბიანი, სებასტიენ ჯოვინკო, სერჟიო ფლოკარი, მანუელ ბლასი, ერნან კრესპო

ჩეზენა: ***ტრავმ***–რობერტო გუანა, ტიბორ ჩიჩა, ჯუზეპე კოლუჩი, მარტინიო, იორგ მარტინესი, ჯანლუკა კომოტო; ***დისკვ***–ადრიან მუტუ

ფიორენტინა: ***ტრავმ***–მატია კასანი, ნიკოლა გულანი, პერ კროლდრუპი; ***დისკვ***–რიკარდო მონტოლივო

ჯენოა: ***ტრავმ***–ვალტერ ბირსა, სტეფანო სტურარო, ზე ედუარდო; ***დისკვ***–კახა კალაძე

ლეჩე: ***ტრავმ***–დავიდე პეტრაჩი, სულეიმან დიამუტენი, დავიდე მიქელე, სტეფანო ფერარიო, ხულიო სერჯიო

ნოვარა: ***ტრავმ***–ალექს პინარდი, კარლალბერტო ლუდი, სამირ უკანი, ჯედა, ანდრეა ლისუზო

უდინეზე: ***ტრავმ***–ანტონიო დი ნატალე(?), მაურისიო ილსა, დუშან ბასტა, მაურისიო დომიცი, ბარეტო, ჯოვანი პასკუალე, ანდრეა კოდა

პალერმო: ***ტრავმ***–იგორ ბუდანი, ლუკა დი მატეო

კალიარი: ***ტრავმ***–დავიდე ასტორი, მუსტაფა ელ კაბირი, სებასტიან ერიქსონი

ლაციო: ***ტრავმ***–ერნანესი, ფრანჩესკო მათუსალემი, ალვარო გონსალესი, მარიუს სტანკევიჩიუსი, კრისტიან ბროკი, სტეფანო მაური

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 8 | 4 | 4 | 0 | 13:6 | 16 |
| 2.უდინეზე | 8 | 4 | 3 | 1 | 10:3 | 15 |
| 3.ლაციო | 8 | 4 | 3 | 1 | 12:8 | 15 |
| 4.ნაპოლი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:5 | 14 |
| 5.მილანი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:12 | 14 |
| 6.კალიარი | 8 | 3 | 4 | 1 | 9:6 | 13 |
| 7.პალერმო | 8 | 4 | 1 | 3 | 11:10 | 13 |
| 8.ჯენოა | 8 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 12 |
| 9.რომა | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 11 |
| 10.კატანია | 8 | 2 | 5 | 1 | 10:11 | 11 |
| 11.სიენა | 8 | 2 | 4 | 2 | 7:5 | 10 |
| 12.ატალანტა | 8 | 4 | 3 | 1 | 11:9 | 9 |
| 13.ფიორენ. | 8 | 2 | 3 | 3 | 9:8 | 9 |
| 14.კიევო | 8 | 2 | 3 | 3 | 6:7 | 9 |
| 15.პარმა | 8 | 3 | 0 | 5 | 10:17 | 9 |
| 16.ინტერი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:14 | 8 |
| 17.ბოლონია | 8 | 2 | 1 | 5 | 5:12 | 7 |
| 18.ნოვარა | 8 | 1 | 3 | 4 | 11:16 | 6 |
| 19.ლეჩე | 8 | 1 | 1 | 6 | 6:15 | 4 |
| 20.ჩეზენა | 8 | 0 | 3 | 5 | 3:10 | 3 |

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.10ვოლფსბურგი-ჰერტა | 2.1 | 3.4 | 3.4 |
| 29.10შტუტგარტი-დორტმუნდი | 3.2 | 3.4 | 2.2 |
| 29.10შალკე-ჰოფენჰაიმი | 1.95 | 3.4 | 3.9 |
| 29.10ბაიერნი-ნიურნბერგი | 1.17 | 7.0 | 15.0 |
| 29.10გლადბახი-ჰანოვერი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 29.10მაინცი-ვერდერი | 2.62 | 3.4 | 2.55 |
| 30.10კიოლნი-აუგსბურგი | 1.85 | 3.5 | 4.2 |
| 30.10ჰამბურგი-კაიზერი | 1.95 | 3.5 | 3.75 |

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***–ალექსანდერ მადლუნგი, რობინ კნოხე, თოლგა

ჰერტა: ***ტრავმ***–არავინ

შტუტგარტი: ***ტრავმ***–მარკ ზიგლერი, პაველ პოგრებნიაკი, გეორგ ნიდერმაიერი

დორტმუნდი: ***ტრავმ***–მოჰამედ ზიდანი, ივან პერიჩიჩი, პატრიკ ოვომოიელა, დამიენ ლე ტალეკი, ფლორიან კრინგი, იოანეს ფოჩერი, ჟულიენ კოხი

შალკე: ***ტრავმ***–ტიმ ჰოოგლანდი, ლევან ყენია

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***–ტომ შტარკი, სეიად სალიჰოვიჩი, მანუელ გულდე

ბაიერნი: ***ტრავმ***–არიენ რობენი, ბრენო

ნიურნბერგი: ***ტრავმ***–კრისტიან ეიგლერი, პატრიკ რაკოვსკი, რაფაელ შეფერი, დანიელ დიდავი

გლადბახი: ***ტრავმ***–რაულ ბობადილა, იგორ დე კამარგო, ელიაშ კაჩუნგა

ჰანოვერი: ***ტრავმ***–მარკუს მილერი, კარლიტო, ლეონ ანდრეასენი

მაინცი: ***ტრავმ***–ბო სვენსონი, ადამ ზალაი

ვერდერი: ***ტრავმ***–ტიმ ბოროვსკი, პრედრაგ სტევანოვიჩი, ოზგან ილდრიმი

კიოლნი: ***ტრავმ***–მირო ვარდანივიჩი, მილივოეი ნოვაკოვიჩი, კევინ მაკენნა, პედრო ჯერომელი

აუგსბურგი: ***ტრავმ***–მარსელ დე იონგი, შტეფან ჰაინი, დაუდა ბა, მარსელ ნდჯენგი, პაულ ვერაენი

ჰამბურგი: ***ტრავმ***–ივო ილიჩევიჩი, რომეო კასტელენი, დანიელ ნაგი, იანეკ სტერნბერგი, სორენ ბერტრამი

კაიზერი: ***ტრავმ***–მარკო კნალერი, იან შიმუნეკი, ჩადილ ამრი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 10 | 7 | 1 | 2 | 26:3 | 22 |
| 2.დორტმუნდი | 10 | 6 | 1 | 3 | 20:7 | 19 |
| 3.შალკე | 10 | 6 | 0 | 4 | 19:15 | 18 |
| 4.ჰანოვერი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:13 | 18 |
| 5.შტუტგარტი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:8 | 17 |
| 6.ვერდერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:13 | 17 |
| 7.გლადბახი | 10 | 5 | 2 | 3 | 11:7 | 17 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 10 | 5 | 1 | 4 | 13:9 | 16 |
| 9.ლევერკუზ. | 10 | 4 | 2 | 4 | 12:14 | 14 |
| 10.ჰერტა | 10 | 3 | 4 | 3 | 12:13 | 13 |
| 11.ვოლფსბურ. | 10 | 4 | 1 | 5 | 12:17 | 13 |
| 12.კიოლნი | 10 | 4 | 1 | 5 | 15:23 | 13 |
| 13.ნიურნბერ. | 10 | 3 | 3 | 4 | 12:14 | 12 |
| 14.კაიზერი | 10 | 3 | 2 | 5 | 8:13 | 11 |
| 15.მაინცი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:19 | 9 |
| 16.აუგსბურგი | 10 | 1 | 5 | 4 | 8:17 | 8 |
| 17.ჰამბურგი | 10 | 2 | 2 | 6 | 12:22 | 8 |
| 18.ფრაიბურგი | 10 | 2 | 1 | 7 | 14:25 | 7 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.10აიაჩო-ბორდო | 3.4 | 3.2 | 2.2 |
| 29.10დიჟონი-მარსელი | 4.0 | 3.3 | 1.95 |
| 29.10მონპელიე-ნანსი | 1.53 | 3.8 | 6.5 |
| 29.10ბრესტი-ლორიენი | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 29.10პსჟ-კაენი | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 29.10ევიანი-ოსერი | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 29.10ლიონი-სენტეტიენი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 30.10ნიცა-სოშო | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 30.10ტულუზა-რენი | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 30.10ვალანსიენი-ლილი | 3.4 | 3.25 | 2.15 |

აიაჩო: ***ტრავმ***–ქარიმ ელ ნანი, ფაბრიციო ბეჟეორჟი

ბორდო: ***ტრავმ***–აბდულ ტრაორე, კარლოს ენრიკე, ჯუსიე

დიჟონი: ***ტრავმ***–ერიკ ბოთა, დაისუკე მაცუი

მარსელი: ***ტრავმ***–შტეფან მბია

მონპელიე: ***ტრავმ***–გუფრი დერნისი, ნენად ძოძიჩი

ნანსი: ***ტრავმ***–ჯამელ ბაქარი, ბაკაიე ტრაორე, დისტელ ძოლა

ბრესტი: ***ტრავმ***–ტომაშ მიკოლა, ჯონათან აიიტე

ლორიენი: ***ტრავმ***–ჯერემი ალიადიერი, ადამა ტურე, სიგამარი დიარა

პსჟ: ***ტრავმ***–ბლაჟეი მატუდი, მეთიუ ბოდმერი, მილან ბისევაჩი, გილერმე ჰორაუ

კაენი: ***ტრავმ***–ბრანკო ლაზარევიჩი, ბენჯამინ მორელი

ევიანი: ***ტრავმ***–სედრიკ მონგონგუ, სიდნეი გოვუ, ჯონათან მენსა, კევინ ბერიგო

ოსერი: ***ტრავმ***–ჯერემი ბერთოლდი, ომარ კოსოკო, რუდი ჰადადი, დელვინ ნდინგა

ლიონი: ***ტრავმ***–კლემენტ გრანიერი, ჯერემი პიედი, ლისანდრო ლოპესი

სენტ ეტიენი: ***ტრავმ***–ჟან პასკალ მინიო, ლოიკ პერინი

ნიცა: ***ტრავმ***–ემერსე ფაე

სოშო: ***ტრავმ***–კარლაო, სებასტიენ კორშია, ლოიკ პუიოლი, სტივენ მოუიოკოლო

ტულუზა: ***ტრავმ***–ემანუელ რივიერე, ბენჯამინ ანგუა, გრეგორი პუიოლი

რენი: ***ტრავმ***–ჯონ ბოიე, ონეოკაჩი აპამი

ვალანსიენი: ***ტრავმ***–არავინ

ლილი: ***ტრავმ***–არავინ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 11 | 8 | 2 | 1 | 21:8 | 26 |
| 2.მონპელიე | 11 | 7 | 2 | 2 | 25:15 | 23 |
| 3.ლილი | 11 | 6 | 4 | 1 | 21:12 | 22 |
| 4.რენი | 11 | 6 | 3 | 2 | 21:14 | 21 |
| 5.ლიონი | 11 | 6 | 2 | 3 | 18:13 | 20 |
| 6.ტულუზა | 11 | 5 | 4 | 2 | 12:10 | 19 |
| 7.ლორიანი | 11 | 4 | 5 | 2 | 12:9 | 17 |
| 8.სტ.ეტიენი | 11 | 4 | 4 | 3 | 11:13 | 16 |
| 9.კაენი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:15 | 15 |
| 10.სოშო | 11 | 3 | 4 | 4 | 17:23 | 13 |
| 11.ოსერი | 11 | 2 | 6 | 3 | 16:15 | 12 |
| 12.მარსელი | 11 | 2 | 6 | 3 | 12:12 | 12 |
| 13.დიჟონი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:22 | 11 |
| 14.ნიცა | 11 | 2 | 4 | 5 | 11:11 | 10 |
| 15.ვალანსიენი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:13 | 9 |
| 16.ბრესტი | 11 | 0 | 9 | 2 | 9:11 | 9 |
| 17.ევიანი | 11 | 1 | 6 | 4 | 11:16 | 9 |
| 18.ბორდო | 11 | 1 | 6 | 4 | 12:18 | 9 |
| 19.ნანსი | 11 | 1 | 5 | 5 | 8:13 | 8 |
| 20.აიაჩო | 11 | 1 | 4 | 6 | 10:22 | 7 |

# ქეცბაია მოლდოვასთან რამდენიმე ახალ ფეხბურთელს გამოცდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გორგიაშვილი, ქეცბაიას ხელში პირველად და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდნენ გიორგი განუგრავა და დიმიტრი ტატანაშვილი. თუმცა, ორივე მათგანს ეროვნულ გუნდში ადრეც თითო-ოროლა მატჩი აქვთ ჩატარებული.

ტრავმების გამო გუნდს ვერ დაეხმარებიან ჯაბა კანკავა, დავით თარგამაძე, როინ კვასხვაძე და ალექსანდრე კობახიძე.

ქეცბაიას სია ასეთია:

მეკარეები: ნუკრი რევიშვილი (ანჟი, რუსეთი), გიორგი ლორია (დინამო), კონსტანტინე სეფიაშვილი (გაგრა);

მცველები: ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერი, თურქეთი), უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი), ალექსანდრე კვახაძე (მეტალურგი), აკაკი ხუბუტია (სამსუნი, თურქეთი), კახაბერ ალადაშვილი (ზესტაფონი);

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), ალექსანდრე გურული (კარპატი, უკრაინა), ირაკლი მაისურაძე (მეტალურგი), შოთა გრიგალაშვილი (ზესტაფონი), დათო კვირკველია (პანიონიოსი, საბერძნეთი), გიორგი განუგრავა (ლომბარდ პაპა, უნგრეთი), თორნიკე გორგიაშვილი (ზესტაფონი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი);

თავდამსხმელები: ვლადიმერ დვალიშვილი (მაქაბი, ისრაელი), ოთარ მარცვალაძე (კრასნოდარი, რუსეთი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი), დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი).

ნაკრები საწვრთნელ შეკრებას 7 ნოემბერს სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ დაიწყებს. თამაში კი „მიხეილ მესხის“ სტადიონზე, 18:00 საათზე დაიწყება.

## ორშაბათი 31 ოქტომბერი

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.50 10 პლუს 10 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 ჩვენი ფერმა 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 სერ. "მისამართი უცნობია" 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 01.00 მოამბე 01.20 მხ. ფილმი "როზმარის ბავშვი" (15) (მ. ფეროუ) 03.50 სერ. "ზიანი" (12) 04.50 მხ. ფილმი "ზუსტად კალათაში" (15)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი "ჰერაკლე" 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.30, 17.45, 23.30 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "შეკლეტონი" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 02.00 მხ. ფილმი "სასკოლო კავშირები"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "როსალინდა" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ილბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 22.00 ჯეოსტარი 00.00 შუა დღე 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ყავა და ლუდი" 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 მუს. ლიგა (გან.) 23.20 მხ. ფ. "ტრანსპორტერი 3" (12) (ჯ. სტეტჰემი) 01.40 მხ. ფილმი "უცხოპლანეტელი 3" 03.30 მხ. ფ. "მტრის საწოლში" (12) (ჯ. რობერტსი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "დაკარგული ქვეყანა 3" 13.00 მხ. ფილმი 15.30 პულსი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "მისი სულის მუსიკა" 21.00 სერ. "გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "ამანდა ო" 12.50, 19.35 სერ. "ადვოკატი" 15.15 სერ. "ექიმი ქმორი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.10 მხ. ფილმი "არაჩვეულებრივი გამოფენა" 13.30 კონცერტი – ე. ვირსალაძე 15.25 სპექტაკლი "აბეშურა – ფარნავაზიანთ უკანასკნელი დედოფალი" 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.35 მოკლ. ფილმი "წყრომა" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი "სანამ წვიმა გადივლიდეს" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 საღვთისმეტყველო საუბრები 22.20 დოკ. ფილმი "მშვენიერი ქართველი ქალი – დოდო ჭიჭინაძე" 22.35 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "მოკითხვა უთხარით საქართველოს" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 პერსპექტივა

## სამშაბათი 1 ნოემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 საფეხბურთო მიმოხილვა 13.50 აუდიტორია 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 მედ-ინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 სერ. "მისამართი უცნობია" 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. არსენალი-მარსელი 01.50 კავკასუს ლაივი 02.50 მხ. ფილმი "შენნაირი ღიმილი" (15) 04.35 სერ. "ზიანი" (12)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "შეკლეტონი" 01.00 მხ. ფილმი "ინტელექტის კოეფიციენტი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "როსალინდა" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ვანოს შოუ 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.40 ჩემპიონთა ლიგა. 00.40 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25 ქრონიკა 11.40 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ყავა და ლუდი" 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 ბიზნეს ლიდერი 00.30 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.50 მხ. ფ. "მინდა გახსოვდე" (12) (რ. პატინსონი) 04.05 მხ. ფილმი "პრინცესა მუხუდოს მარცვალზე" (კ. ბარნეტი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "დაკარგული ქვეყანა 3" 13.00 მხ. ფილმი 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "მისი სულის მუსიკა" 21.00 სერ. "გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.30 დოკ. ფილმი 10.40, 16.00 სახლი ბათუმში 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "ამანდა ო" 12.50, 19.35 სერ. "ადვოკატი" 15.15 სერ. "ექიმი ქმორი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 დოკ. ფილმი 00.30 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "მშვენიერი ქართველი ქალი – დოდო ჭიჭინაძე" 10.40 საღვთისმეტყველო საუბრები 11.30 ერთსულოვანი ოჯახი 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "სანამ წვიმა გადივლიდეს" 13.45 კონცერტი – ანს. "თბილისი" 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი "ბათა ქექია" 1-ლი ნ. 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.55 მოკ. ფილმი "ბელურების გადაფრენა" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "ჩარირამა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კონცერტი – ანდრე რიუ ავსტრალიაში

## ოთხშაბათი 2 ნოემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ცხოვრება მშვენიერია 13.50 ვაშინგტონი დღეს 14.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 დოკ. ფილმი "რომის იმპერიის აღმავლობა და დაცემა" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 სერ. "მისამართი უცნობია" 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 ევროპული არჩევანი 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-რეალი 01.30 მოამბე 01.50 მხ. ფილმი "მწუხრი" (პ. ნიუმენი) 03.35 სერ. "ზიანი" (12) 04.35 მხ. ფილმი "შენნაირი ღიმილი" (15)

08.00, 00.40 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "ჯესიკა" 01.00 მხ. ფილმი "მშვიდობისმოყვარე"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "როსალინდა" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 კომედი შოუ 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 22.00 ილბლიანი ბორბალი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. 01.00 შუა დღე 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.30 პატრული 03.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.20 ქრონიკა 11.40 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ყავა და ლუდი" 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 "ფორმაში" 23.00 ფლეშმობშოუ 00.50 თბილისი ლაივი 01.20 მხ. ფილმი "კონტროლი" (12) (რ. ლიოტა) (სუბტ.) 03.25 მხ. ფილმი "ამერიკელი ცოლი" (ჯ. ბილი) (სუბტ.) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "დინოტოპია" 13.00 მხ. ფილმი 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "მისი სულის მუსიკა" 21.00 სერ. "გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "ამანდა ო" 12.50, 19.35 სერ. "ადვოკატი" 15.15 სერ. "ექიმი ქმორი" 16.00 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 სცენა 00.30 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 10.55 მგზავრები წუთისოფლისა 11.20 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "ჩარირამა" 13.30 კონცერტი 15.05 განთიადის სტუმარი 15.20 მხ. ფილმი "ბათა ქექია" მე-2ნ. 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.55 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "ლუარსაბ თათქარიძე" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40 დოკ. ფილმი "რეპეტიციაზე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პერსპექტივა 01.30 მხ. ფილმი "სიბრძნე სიცრუისა"

## ხუთშაბათი 3 ნოემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ევროპული არჩევანი 13.50 აღმოაჩინე საქართველო 14.30 დოკ. ფილმი "რჩევები ახალგაზრდა რეჟისორებს" 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 დოკ. ფილმი "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 სერ. "მისამართი უცნობია" 21.00 სერ. "საბედისწერო აკვიატება" 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.00 სი ბემოლი 01.20 მხ. ფილმი "ქარს დადევნებული" (15) 03.30 სერ. "ზიანი" (12) 04.30 მხ. ფილმი "გულგატეხილთა კლუბი" (18)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "ჯესიკა" 01.00 მხ. ფილმი "ქარიშხლიანი მაღლობები"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "როსალინდა" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ჯეოსტარის კონცერტი 3 (გან.) 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 22.00 პროფილი 00.00 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25 ქრონიკა 11.40 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ყავა და ლუდი" 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 მხ. ფილმი 23.45 ავტობიოგრაფია 00.30 რემონტი 01.10 მხ. ფილმი "თაფლობის თვე" (ს. მილერი) (სუბტ.) 03.05 მხ. ფილმი "უცხოები" (18) (ლ. ტაილერი) (სუბტ.) 04.30 მხ. ფილმი "დრაკონის გზა" (ბ. ლი) (სუბტ.) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "დინოტოპია" 13.00 მხ. ფილმი 15.30 პულსი 16.00 დოკ. ფილმი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "შტრაუსების დინასტია" 21.00 სერ. "გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.00 დოკ. ფილმი 10.40 სცენა 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "ამანდა ო" 12.50, 19.35 სერ. "ადვოკატი" 15.15 სერ. "ექიმი ქმორი" 16.00 სცენა 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 პერსპექტივა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "სიბრძნე სიცრუისა" 13.40 კონცერტი – კ. პევზნერი 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი "ბაში-აჩუკი" 16.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.25 დოკ. ფილმი "თქმის ხელოვნება" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "არასერიოზული კაცი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გამოყენებითი ხელოვნება 21.35 აქტუალური თემა 22.20 დოკ. ფილმი "დიდი ანდრიას ნაკვალევზე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "შემოდგომა" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კონცერტი – ლ. პავაროტი

## პარასკევი 4 ნოემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 თოქ-შოუ "არენა" 13.50 დოკ. ფილმი "საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი" 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 ავტოპილოტი 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 სერ. "მისამართი უცნობია" 21.00 სერ. "საბედისწერო აკვიატება" 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 წითელი ზონა 00.00 კავკასუს ლაივი 01.00 მხ.ფ."გამანადგურებელი ანგელოზი" (სუბტ.) 02.45 მოამბე 03.05 სერ. "ზიანი" (12) 04.05 მხ. ფილმი "ქარს დადევნებული" (15)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "პოსეიდონის თავგადასავალი" 01.00 მხ. ფილმი "მექსიკელი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "როსალინდა" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 პროფილი (გან.) 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 კომედი შოუ ბესტი 00.00 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ბიზნეს-ლიდერი (გან.) 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 სერ. "ბედისწერის ქალა" 1-ლი ს. 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 თოქ-შოუ 00.20 ღამის შოუ (გან.) 01.20 ფლეიბოი იმედზე 02.15 მხ. ფ."სიცილიური კლანი" (ა. დელონი) (სუბტ.) 04.10 მხ. ფილმი "ჩემი ძმაკაცის შეყვარებული" (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "დინოტოპია" 13.00 მხ. ფილმი 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "შტრაუსების დინასტია" 21.00 სერ. "გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "ამანდა ო" 13.00 სამედიცინო პროექტი 13.30, 19.35 სერ. "ადვოკატი" 15.15 სერ. "ექიმი ქმორი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 დოკ. ფილმი "დიდი ანდრიას ნაკვალევზე" 11.00 დოკ. ფილმი "შემოდგომა" 11.35 აქტუალური თემა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "არასერიოზული კაცი" 13.35 კონცერტი – მ. დოიჯაშვილი 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი "ჩრდილი გზაზე" 17.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.20 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "ჩვენი ეზო" 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.20 ჩვენი ფონდი 22.35 დოკ. ფილმი "ლადო ასათიანი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმის გაგრძელება 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე

## შაბათი 5 ნოემბერი

07.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.30 ან. ფილმი "შრეკი" 10.00 საბ. ფილმი "მეფე სოლომონის საბადოები" 11.30 ბავშვობანა 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ქართ. მხ. ფილმი "ჩაკლული სული" 14.00 რაგბი. საქ. ჩემპიონატი. ფინალი 16.30 ჩვენი სამართალი 17.00 დამზადებულია საქართველოში 17.30 მედ-ინფო 18.00 კალათბურთი. საქ. ჩემპიონატი. არმია-შსს 20.45 საბავშვო ევროვიზია 2011 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 სერ. "მონადირე" 23.00 10 პლუს 10 00.00 ავტოპილოტი 01.00 მოამბე 01.20 მხ. ფილმი "ამერიკული სილამაზე" (15) (კ. სპეისი) (სუბტ.) 03.30 წითელი ზონა 04.30 მხ. ფილმი "გამანადგურებელი ანგელოზი" (სუბტ.) 06.10 მხ. ფილმი "მატილდა" (სუბტ.)

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 სპექტაკლი "განკიცხული" 19.00 საუკუნის პორტრეტები 19.30 ჩვენი სამათლი 20.00 მხ. ფილმი "პოსეიდონის თავგადასავალი" 21.25 მხ. ფილმი "ყასაბის ცოლი" 23.00 მხ. ფ. "ეჭვიანობა" (12)

08.00 კურიერი 08.30 ან. ფილმი 10.00 სერ. "გაორება" 11.00 ყველაზე ჭკვიანი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 "ჯეო-მეგზური" 13.00 ქართ. ფილმი 15.30 თქვენი შოუ (გან.) 17.00 ფარული კამერა 18.30 სიცილის ზონა 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. "სამხრეთის დედოფალი" 23.00 ჯეოსტარის კონცერტი (გან.) 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ავატარი" 08.35 მხ. ფილმი "ჯადოქარი ტყუპები" 10.30 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "101 დალმატინელი" 11.45 სერ. "შუა ქალაქში" 12.35 სერ. "ქალის სიტყვა" 14.30 რემონტი 15.00 თბილისი ლაივი 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 სერ."ბედისწერის ქალა" 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 "ფლეშმობშოუ" 00.20 ფორმაში (გან.) 01.30 ფლეიბოი იმედზე 02.25 მხ. ფილმი "გამოსასყიდი" (12) (პ. ბროსნანი) (სუბტ.) 04.00 სერ."საიდუმლო აგენტი" 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.30 პულსი 12.00 სერ. "დინოტოპია" 13.00 სერ. "პოლიციელთა ამბები" 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "შტრაუსების დინასტია" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. "სოფია ცოტა მადროვე" 09.30 ესტაფეტა 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. "ამანდა ო" 13.15 სერ. "ადვოკატი" 15.00 სერ. "ექიმი ქმორი" 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მუსიკა 18.00 დოკ. ფილმი 19.00 ქართ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

08.30 ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.05, 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 10.25 მოკ. ფილმი "ბზიანეთი" 10.40 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი "ჩვენი ეზო" 13.30 პერსპექტივა 15.05 ოპერა "ლუკრეცია ბორჯა" 17.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 სატ. არქივიდან "ძველი ჰანგები" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.45 მხ. ფილმი "იავნანა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კარაბადინი 22.20 თბილისის ტაძრები 22.30 "შარავანდედი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ. ფილმი "ბიძინა" 00.35 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 01.00 მხ. ფილმი "ოქროს ციებ-ცხელება"

## კვირა 6 ნოემბერი

09.00 ან. ფილმი 10.30 საბ. ფილმი "მეფე სოლომონის საბადოები" 11.30 ვაკა-პედია 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ჩვენი ფერმა 13.00 აივანი 13.30 დოკ. ფილმი "მწვანე გორგალი" 14.00 დოკ. ფილმი "რჩევები ახალგაზრდა რეჟისორებს" 14.30 სი ბემოლი 15.30 ჩემპიონთა ლიგის დღიური 16.30 ჩვენი ეზო 17.30 ვაშინგტონი დღეს 17.55 ფეხბურთი. საქ. ჩემპიონატი. ტორპედო-დილა 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 სპიკერი 23.00 აღმოაჩინე საქართველო 23.30 უცნობი მუსიკა 00.30 დოკ. ფილმი "რავი შანკასი" 01.30 მოამბე 01.50 მხ. ფილმი "სინოპტიკოსი" (12) (ნ. კეიჯი) (სუბტ.) 03.50 მხ. ფილმი "ამერიკული სილამაზე" (15) (კ. სპეისი) (სუბტ.)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა (დაიჯესტი) 15.00 სპექტაკლი "კავკასიური ცარცის წრე" 17.00 ისტორია 18.00 საუკუნის პორტრეტები 18.30 დოკ. ფილმი "სამყარო" 19.30 მეხსიერება 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.00 მხ. ფილმი "ქალაქიდან ჩამოსულები" 23.30 წითელი ზონა 00.30 მხ. ფილმი "გამანადგურებელი ანგელოზი"

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 ან. ფილმი 10.00 სერ. "გაორება" 11.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი 15.20 სერ. 18.30 სიცილის ზონა 19.00 ყველაზე ჭკვიანი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კურიერი პ. ს. 22.00 კომედი შოუ 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 02.20 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ავატარი" 08.35 მხ. ფილმი "იმპერული ესკიზები" 10.30 ქართული სიმღერა 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 11.15 თავდაყირა 11.45 სერ. "შუა ქალაქში" 12.35 სერ."უკანასკნელი მოწმე" 14.30 სპეც. რეპორტაჟი 15.15 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 17.40 ეტალონი 18.40 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 20.30 იმედის გმირები 20.45 მუსიკალური ლიგა 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 ღამის შოუ 00.20 ფეისკონტროლი 01.30 მხ. ფილმი "მისტერ და მისის სმიტები" (12) (ბ. პიტი) (სუბტ.) 03.50 სერ. "საიდუმლო აგენტი" 04.30 მხ. ფილმი "ევროტური" (15) (სუბტ.) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.30 პულსი 12.00 სერ. "დინოტოპია" 13.00 სერ. "პოლიციელთა ამბები" 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "მისი სულის მუსიკა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. "სოფია ცოტა მადროვე" 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 ესტაფეტა 12.40, 21.00 სერ. "ამანდა ო" 13.00 დოკ. ფილმი 15.00 სერ. "ექიმი ქმორი" 16.00 ქართ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 19.35 სერ. "ადვოკატი" 00.00 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

08.30 თბილისის ტაძრები 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.15 მხ. ფილმი "ოქროს ციებ–ცხელება" 11.35 ქართული ალბომი 12.15 მხ. ფილმი "იავნანა" 13.30 ქართ. მულტფილმები 14.05 შარავანდედი 14.30 კარაბადინი 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 16.35 აქტუალური თემა 16.50 საღვთისმეტყველო საუბრები 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.05 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფილმი "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 21.45 დრო და ადამიანები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.35 ოპერა "ლუკრეცია ბორჯია"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

შალვა ჯოხაძე

„უბადრუკი შოუ“ – ასე შეფასდა გუშინდელი სამთავრობო საათი პარლამენტში. შეფასების ავტორი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი იყო, რომლის განცხადებითაც,

ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე სამთავრობო საათის ფორმატში მისმა ფრაქციამ „ერთობა სამართლიანობისთვის“ დაიბარა. დეპუტატის თქმით, პარლამენტში მიწვეული დანარჩენი ჩინოვნიკები – პრემიერი გილაური, მინისტრთა კაბინეტის ნახევარი წევრები, მთავრობამ გადამალა. „ზოგი მივლინებაში გაუშვეს, ზოგს ვირუსი შეეყარა. მხოლოდ ფინანსთა მინისტრი „გაწირეს“, – აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ფინანსთა მინისტრმა კი ოპოზიციის მიერ დასმული შეკითხვების უმეტესობას პასუხიც კი არ გასცა. ამ ყველაფერში ცაგარეიშვილი ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს ადანაშაულებს, რომელსაც სხდომა მიჰყავდა. ცაგარეიშვილის ინფორმაციით, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან შედგა შეთანხმება, რომ მინისტრები ფრაქცია „ერთობა სამართლიანობის“ ყველა შეკითხვას გასცემდნენ პასუხს, თუმცა მიხეილ მაჭავარიანმა ბაქრაძესთან მიღწეული შეთანხმება დაარღვია.

მოკლედ, ხელისუფლებისგან „გაწირულმა“ ახალმა სახემ, დიმიტრი გვინდაძემ, პარლამენტში სლაიდშოუ გამართა და ციფრების რახარუხი დააყენა.

# რა უნდოდა გვინდაძეს და რატომ დადგა მან „უბადრუკი შოუ“

## ნიკა გილაური გრიპიანი ყოფილა

ყველა კითხვა 2012 წლის ბიუჯეტს ეხებოდა. მათ შორის, პირველი შეკითხვა საქართველოს საგარეო ვალს ეხებოდა. დეპუტატები ინტერესდებოდნენ, აქვს თუ არა მთავრობას დროში გაწერილი კონკრეტული გეგმა, რათა ეს ვალები თავიდან მოვიშოროთ. აი, აქ ატყდა ციფრების ის რახარუხი, რომლიდანაც ორი დეპუტატიც კი ვერ გაიგებდა, გვეშველება რამე თუ არა.

ფინანსთა მინისტრ დიმიტრი გვინდაძის რამდენიმე „მესიჯი“ საზოგადოებისადმი წმინდად პიარზე იყო გათვლილი. მაგალითად, ის, რომ 2012 წელს პენსია გაიზრდება.

მინისტრის განმარტებით, ქართველ პენსიონერებს რამდენი თეთრით თუ ლარით მეტი უნდა მისცენ, ამის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მართავენ მოლაპარაკებებს.

მინისტრს ამის ახსნაც აქვს: „პარამეტრების სწორი შერჩევა განაპირობებს, რამდენად მდგრადი იქნება რეფორმა. არსებობენ რიგი ქვეყნები, რომელთაც პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს, გაზარდეს ხელფასები და პენსიები, შემდეგ კი დეფოლტი გამოაცხადეს“.

გვინდაძეს უნდა, რომ ქვეყანაში არსებული ინფლაცია 6-7 პროცენტამდე შეამციროს. ამ



თემაზე მინისტრმა უკვე მოცვეთილი თემა – მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც კი ახსენა.

„საქართველოში ინფლაციას გარე და შიდა ფაქტორები განაპირობებს. გარე ფაქტორები ყველაზე მწვავედ 2008 წელს შეგვეხო. ამ წელს გაძვირდა საკვები პროდუქტები და მოხდა მსოფლიო ფინანსური კრიზისი. ჩვენ ვართ ღია და მცირე ეკონომიკის ქვეყანა. 100 პროცენტით რომ ვიყოთ დაცული, მაშინ ბაზარი უნდა ჩავკეტოთ. საქართველოს ეკონომიკა იმპორტზეა დამოკიდებული. სურსათისა და ენერგომატარებლების იმპორტი მაღალია, რაც ინფლაციას განაპირობებს“, – განაცხადა გვინდაძემ.

აშკარად პიარზე იყო გათვლილი გვინდაძის საუბარი სოფლის მეურნეობაში ჩასადებ მილიონებზე. მოგეხსენებათ, ენდიას კვლევებითაც კი დასტურდება, რომ საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად ეს საკითხი აღელვებს.

გვინდაძის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მომავალ წელს 270 მილიონი დოლარი დაიხარჯება. მაგრამ, ეს სულ საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი ფული არ გეგონოთ. ამ თანხაში შედის დახმარება აშშ-დან, ევროკავშირიდან და სხვა დონორებისგან.

გვინდაძემ იმაზეც იმართლა თავი, რომ საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ სიტყვიერად იჭერს და იჭერს ქამრებს, რეალურად სულ სხვა რამეს ვხედავთ. გვინდაძე გვარწმუნებს, რომ კვლევებით დასტურდება, ქამრებს მართლაც რომ იჭერენ. მისი თქმით, საქართველოში სულ 140 ათასი საჯარო მოსამსახურეა, რომლებიც დასაქმებული არიან ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებაში, ჯარში, პოლიციაში. გვინდაძეს თუ ვენდობით, მათი შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული სახსრები უკანასკნელ წლებში სულ უფრო იკლებს.

# განცხადებები

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ძვლებში მეტასტაზების მკურნალობა სწრაფად და შედეგიანად. სისხლის დაცვა და აღდგენა ქიმიო და რადიოთერაპიისას. ტელ: 295-23-98.

# მამუკა კაციტაძე: „ოპოზიციას მემარჯვენეების კრიტიკის უფლება არა აქვს!“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რომელიც იქნება უმაღლესი ინსტანცია და რომლის გადაწყვეტილება არ დაექვემდებარება რევიზიას, რომლის შემდგენელიც თანაბრად არის როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური და არასამთავრობო, მხედველობაში მაქვს 21-კაციანი კომისია, სადაც, ამავდროულად, კომისიის ხელმძღვანელი ოპოზიციის წარმომადგენელი უნდა იყოს და რომელიც მრავალი თვის განმავლობაში კარდაკარ და სხვადასხვა მეთოდით შეისწავლის ამ პრობლემატიკას, მიიღებს გადაწყვეტილებას და ეს იქნება ამომრჩეველთა ერთიანი სიის საბოლოო ვარიანტი. გაურკვეველია ჩემთვის, როდესაც ამ საკითხებს კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ. რაღაცას მივაღწიეთ და ახლა არის მცდელობა, რომ როგორმე მოხდეს მისი გაფერმკრთალება, მიღწეულის გაკრიტიკება. მე ამაში პოლიტიკურ ინტერესს უფრო ვხედავ, ვიდრე შინაარსობრივ წინააღმდეგობებს.

***– ბატონო მამუკა, ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც ყოფილ „ექვსიანს“ წარმოადგენდა, ამბობს, რომ რაც იყო ჩადებული დღევანდელ საარჩევნო კოდექსში, ისიც აღარ არის საარჩევნო პროცესის კონტროლის მექანიზმის თვალსაზრისით. მათ არგუმენტად მოჰყავთ მარკირების სისტემა, ვიდეოთვალი. ეს არ არის არგუმენტები?***

– მარკირების სისტემის ამოღება ხელისუფლების წინადადებაა და ჩვენ ამ საკითხთან მარტივად არ ვაპირებთ შეგუებას. იგივე პოლიტიკოსები იტყვიან, რომ მარკირება არაფერს ნიშნავს, მეათეხარისხოვანია. იგივე ეხება ფოტო და ვიდეო გადაღებას უბანზე. ესეც რომ უკან წაიღოს ხელისუფლებამ ან გუბერნატორების ჩართვის საკითხი, ზუსტად გეტყვით, ამაზე რა რეაქცია ექნებათ იმავე პოლიტიკოსებსა თუ პარტიებს, გამოვლენ, გნებავთ, არასამთავრობოები და იტყვიან, რა მნიშვნელობა აქვს, უკან რომ წაიღეს, ეს მეორეხარისხოვანი იყოო. ასევე იტყვიან, სპეციალურად გაკეთდა, რომ პოზიციისთვის რაღაც ქულები დაეწერათ. ეს არის ჩასაფრებული კაცის პოზიცია. თუმცა, ერთი, მხრივ, პოლიტიკოსებისაც მესმის, მათი, ვინც არ შეუერთდა ამ შეთანხმებას. ისინი ახლა კონკურენტულ პროცესსაც ხედავენ. მეორე მხრივ, აბსოლუტურად მესმის არასამთავრობო სექტორის, რადგან, თუ პოლიტიკოსი კონკრეტულ შედეგზეა ორიენტირებული, არასამთავრებო სექტორი იდეალურისთვის იბრძვის. გასაგებია, მაგრამ ჩვენ ვთქვით, რომ პროცესის რადიკალიზაცია, პრინციპი ან ყველაფერი, ან არაფერი, მთავრდება არაფრით. ამის უამრავი პრაქტიკა გვაქვს. ჩვენ სამმა რამემ მიგვაღებინა გადაწყვეტილება, რომ შევერთებოდით ამ შეთანხმებას. პირველი – ეს არის პოლიტიკური გამოცდილება და გამოცდილება ამ ხელისუფლებასთან ურთიერთობისა. ეს გამოცდილება მხოლოდ ცუდის მომასწავებელია. მეორეა პოლიტიკური გემოვნების საკითხი. კონკრეტული 12 პუნქტი წინგადადგმული ნაბიჯია დღეს არსებულ კოდექსთან მიმართებით. ყველა პუნქტი აუმჯობესებს არსებულ მდგომარეობას. ყველა პუნქტი გამოძახილია იმ დოკუმენტისა, რომელიც „რვიანმა“ დადო მაგიდაზე. ვითხოვდით 2 მილიონს და მივიღეთ 1 მილიონი. ვითხოვდით ერთ მესამედს ორ მესამედთან, მაჟორიტარებსა და პროპორციულის შორის და მივიღეთ ორი მეხუთედი სამ მეხუთედთან. მესმის, რომ სრულად არ გაკეთდა, მაგრამ ყველა ეს წინადადება ხომ ოპოზიციის იყო. მესმის, რომ ეს არ არის იდეალური ვარიანტი, მაგრამ ეს ყველაფერი თუ არ არის პოზიტივი, მაშინ საქმე გვაქვს ჩასაფრებასთან ან ახირებასთან. საბოლოო დასკვნები მას შემდეგ გავაკეთოთ, როცა პარლამენტში მსჯელობა დაიწყება.

## გჯერათ ზღაპრების?

ტესტი



ამბობენ, რომ:

1. ერთხელ სამუელ მორზე გრიპით გახდა ავად. ისე აკანკალებდა, რომ სიტყვის თქმა არ შეეძლო. ავადმყოფ ქმარს რომ უვლიდა, მისის მორზე კბილების კაწკაწის მიხედვით ხვდებოდა რა სურდა მის ქმარს: სამი დარტყმა – „მწყურია“. დარყმა, პაუზა, დარტყმა, პაუზა – „ბალიში გამისწორე“ და ა.შ. რომ გამოჯანმრთელდა, მორზემ თავისი წერტილებისა და ტირეების ანბანი გამოიგონა.

ა. მჯერა, ბ. არ მჯერა.

2. რუფლ ამუნდსენმა, სამხრეთ პოლუსისაკენ ექსპედიციისაკენ რომ ემზადებოდა, ძვლის ფორმის რამდენიმე მაგნიტი დაამზადა და თავის ძაღლებს აჭამა. ძვლები ცხოველებს შიგნით ისე განლაგდნენ, რომ სამხრეთისაკენ მიმართულებას მიანიშნებდნენ, როგორც კი ძაღლი კურსიდან გადახვევას დააპირებდა, მაგნიტი მის კუჭში მაშინვე უკან აბრუნებდა.

ა. მჯერა. ბ. არ მჯერა.

3. ბილ გეითსი ბავშვობაში ძალიან ძუნწი იყო და არ უყვარდა ამხანაგებისთვის რაიმეს გაყოფა. ერთხელაც რაგბის თამაშის დროს მისმა თანაგუნდელმა სპორტული ფეხსაცმელები გაიხია, მივიდა სათადარიგოთა სკამთა და ბილ გეითსის ფეხსაცმელებს წაატანა ხელი, მაგრამ ბილმა აღშფოთებითი წამოიყვირა „მაი ქროსს, ოფ“. ('ჩემია, ხელი არ ახლო“. გუნდმა მატჩი წააგეს, თანაკლასელებმა კი ბილ გეითსს „მაიკროსოფ“ შეარქვეს. ეს მეტსახელი ისე მიეწება მას, რომ მომავალში ბილ გეითსმა თავის ფირმას „მაიკროსოფთი“ უწოდა.

ა. მჯერა. ბ. არ მჯერა.

### პასუხები

**„ა“ პასუხების რაოდენობის მიხედვით**

0 ქულა: არასდგროს გაგჩენიათ ზღაპრის დაჯერების სურვილი?

1-2 ქულა: იუმორის გრძნობა ნორმალურად გაქვთ განვითარებული

3 ქულა: „ბედნიერების მომტანი“ წერილებისაც გჯერათ?

# სამგლოვიარო განცხადებები



## ნოდარ ელბაქიძის მონატრება

დღეს შენი დაბადების დღეა, ჩვენში სევდამ დაისადგურა. თითქოს ყველაფერი დაცარიელდა. როგორ გიხაროდა ეს დღე, ყველანი ერთად ვიყავით, ბედნიერები და მხიარულები. ახლა კი, ტკივილით სავსე ვართ უშენოდ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*უსაზღვრო მონატრებით,*
*ნინო, ლილი, ანი*

---

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა სამინისტროს თანამშრომელი

**ალა ხვიჩია-ჯოხაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის წევრი, დამსახურებული არქიტექტორი, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი

**ჰამლეტ დიმიტრის ძე მოსულიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სამართალდამცავი ადმინისტრაციული ორგანო; 2. მდინარე ტოკიოში; 3. შემინული აივანი; 4. თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 5. რაიმეს ნაირსახეობა, სახეცვლილება; 7. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 11. კუთხე საქართველოში; 13. ქართველი პრიმა-ბალერინა; 15. ლუთერანული ეკლესია; 16. ლაბორატორიული მინის ჭურჭელი; 18. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 19. გერმანიის იმპერია 1945 წლამდე.

**თარაზულად:** 6. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 8. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 9. მსუსხავი ბალახი; 10. თავხედური გულახდილობა; 12. ფასიანი ქაღალდების გასაყიდ და საყიდ ფასებს შორის სხვაობა; 14. დაბალი, საამო ხმით მღერა; 17. ერთკუზიანი აქლემი; 20. უძველესი ქართული ხალხური თამაში-სანახაობითი წარმოდგენა; 21. სივრცე სახლის სახურავსა და ჭერს შორის; 22. ადამიანის ორგანიზმში არსებული წითელი ფერის სითხე; 23. პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. იჩქერია; 2. ბულონი; 3. ინტელექტი; 4. ემისია; 5. ფასკუნჯი; 7. ეტლი; 11. მუტრუკი; 13. თიბათვე; 15. კოლიე; 16. შელფი; 18. წყრთა; 19. როდეო.

**თარაზულად**: 6. ჩოხელი; 8. პუდინგი; 9. კლიროსი; 10. რეზიუმე; 12. ნიცშე; 14. რაბინი; 17. ტაბაწყური; 20. აგუძერა; 21. ციცაგი; 22. თარეში; 23. ნიკოლაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. იადგარი; 2. პანეში; 3. გალენიტი; 4. სინკლიტი; 7. განდაგანა; 8. კაუდილიო; 12. ხასანდარი; 14. ესტაკადა; 16. კალანდა; 17. ზუგდიდი; 19. ზებუ; 20. არფა.

**თარაზულად**: 5. მასმედია; 7. ტრაიდენტი; 9. ფატიმა; 10. შამანი; 11. ბუერი; 13. ფარსი; 15. ასკანა; 18. რანჩო; 21. ზავენტემი; 22. ნეკრესი; 23. ყუმბარა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

**29 ოქტომბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6613
- ევრო — 2,2702
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
- რუსული რუბლი — 0,057

## ამინდის პროგნოზი 29 ოქტომბრისთვის

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7–12, ღამით — 2–3

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15–17, ღამით — 5–8

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 1–6, ღამით — -7–2




# მხოლოდ „ახალი თაობის“ მკითხველებისთვის

## „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

## პირველი 10 ტომი — 1 წიგნი 5 ლარად

**29 ოქტომბერს გაიყიდება მე-3 ტომი — ჩერჩილი, წიგნი 1**

**1 ნოემბერს — მე-4 ტომი — ჩერჩილი, წიგნი 2**

**2 ნოემბერს — მე-5 ტომი — სერვანტესი**

**3 ნოემბერს — მე-6 ტომი — რიშელიე**

**4 ნოემბერს — მე-7 ტომი — მარკესი**

**5 ნოემბერს — მე-8 ტომი — ნაპოლეონი**

**8 ნოემბერს — მე-9 ტომი — ვაჟა-ფშაველა**

**9 ნოემბერს — მე-10 ტომი — კეისრები**



## იუმორი



***

— ადამიანი ცხოვრების მესამედს საწოლში ატარებს, დანარჩენი ორი მესამედი კი ამ საწოლში ვიღაცის შეთრევას ცდილობს...

***

განცხადება საბავშვო ბაღში:

„ძვირფასო მშობლებო, ნუ დაიჯერებთ იმას, რასაც თქვენი ბავშვი საბავშვო ბაღის შესახებ გიყვებათ. ჩვენი მხრივ, ჩვენც გპირდებით, რომ არ დავიჯერებთ იმას, რასაც ისინი თქვენს შესახებ გვიყვებიან...“

***

— ისეთი შტერია, რომ გეგონება, 25 წლის წინ მისმა მშობლებმა კომბოსტოში ბავშვი ვერ იპოვეს და კომბოსტოს გაზრდა გადაწყვიტეს...

***

— გასულ ღამეს ფლომასტერების ფაბრიკა გაძარცვეს. პოლიცია დამნაშავეებს გასაფერადებელი ნახატების საწყობთან ჩაუსაფრდა...

***

— მიყვარს ჩემი მეზობლები. აი, მუსიკაც ხმამაღლა ჩავურთე...



## ქეცბაია მოლდოვასთან რამდენიმე ახალ ფეხბურთელს გამოცდის

11 ნოემბერს, საქართველოს ეროვნული ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს მოლდოველებთან. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ იმ ფეხბურთელების სია დაასახელა, რომლებიც ამ მატჩისთვის მოემზადებიან.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქეცბაიამ მოლდოველებთან სათამაშოდ რამდენიმე ვეტერანი დაასვენა. კერძოდ, კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი. თუმცა ეს არ არის განპირობებული ადრე გავრცელებული ხმებით, რომ ნაკრები ვეტერანებისგან იწმინდება.

რაც შეეხება ახალწვეულებს: ნაკრებში პირველად გამოჩნდა, ზესტაფონელი თორნიკე

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ასტროპროგნოზი

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

### 29 ოქტომბერი – წარმატებული დღეა

**ვერძი** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – ფულს შოულობათ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კირჩხიბი** – არ აყვეთ პროვოკაციას, თქვენთვის მშვიდად იყავით. **ლომი** – ახალი ნაცნობობა თქვენზე დადებითად იმოქმედებს. **ქალწული** – არ აჩქარდეთ, საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. **სასწორი** – გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **ღრიანკალი** – ბევრი საქმე გაქვთ, გაანაწილეთ დრო.. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – ნუ დაკარგავთ დროს, ჭკვიანურად იმოქმედეთ. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თავს ბედნიერად გრძნობთ.

### 30 ოქტომბერი – ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** – არ გარისკოთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ლომი** – თქვენი საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ღრიანკალი** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** – არ აყვეთ პროვოკაციას, როგორმე თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – მშვენიერი დღეა, სიურპრიზი გელით. **მერწყული** – გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **თევზები** – ყურს ნუ დაუგდებთ სხვებს, საკუთარ თავს დაუჯერეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ძველბერძენი მოქანდაკე, ნეფერტიტის ბიუსტის ავტორი; 2. დაქირავებული კავალერი; 3. მდინარე აშშ-ში; 4. ორგანიზმის ცვალებადობისა და მემკვიდრეობითობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. პირფერული ქება; 8. გრაფიკის ერთ-ერთი ჟანრი; 12. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 14. მდინარე შუა აზიაში; 16. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 19. უკრაინის პარლამენტი; 20. გემის მზარეული.

**თარაზულად:** 5. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. პრეზიდენტის სასახლე რომში; 9. შტატი აშშ-ში; 10. დუმფა რასნაირთა ოჯახის წყალზე მცურავი ყვავილოვანი მცენარე; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 13. მომღერალი მუსიკოსი შუა აზიაში; 15. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ირანში; 21. მორიელის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი ორნიტოლოგიის ნაწილი; 23. ძველი ქართული ვერცხლის ფული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა